




პილარ ვ-ის ცლიური/ ანგარიშგება

2018 წლი



1.	შესავალი	3
2.	მეცნიერების განცხადება	3
3.	ძირითადი მაჩვენებლები	4
4.	კაპიტალის შესახებ ინფორმაცია	5
4.1	კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები	5
4.2	კაპიტალის ინსტრუმენტები	5
5.	ბანკის სტრუქტურა	7
6.	აქციონერთან დაკავშირებული საკითხები	8
7.	კორპორაციული მართვა	9
8.	ბანკის სტრატეგია	13
9.	რისკების მართვა	14
9.1	ბანკის რისკის სტრატეგია	14
9.2	რისკ-აპეტიტი	15
9.3	ძირითადი რისკები	17
9.4	საკრედიტო რისკი	20
9.5	საპაზრო რისკი	23
9.6	ლიკვიდობის რისკი	25
9.7	საოპერაციო რისკი	26
9.8	შესაბამისობის რისკი	31
9.9	რეჟუტაციის რისკი	33
9.10	სტრატეგიული რისკი	34
9.11	სხვა რისკები	36
9.12	სტრატეგიული რისკები	36
9.13	მიზიგაციის საჭალებები	37
9.14	საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტები	38
10.	ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები	41
11.	პილარ 3-ის ანგარიშების დანართები	44

1 შესავალი

აგენტობის გენერალური მდგრადი კონსულტაციური სამსახური პილარ 3-ის გამართვალობის და ევროპავშირის N 575/2013 დირექტივის მოთხოვნებს, რომელის შესაბამისი მოთხოვნები შემუშავებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფინანსური ინფორმაციის გამზღვევის წარმატების შესრულების დროს“.

2 მენეჯმენტის გაცვალება

ბანკის დირექტორის აღნიშვნების მიზანულ პილარ 3-ის აგენტობის გამზღვევი ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უფყუარობასა და სიზუსტეს. აგენტობის მომზადებულია სამართვალურო საბჭოსთან შეთანხმული პილარ კონფიდენციალური პროცესების სრული დაცვით, წინამდებარებული აგენტობის აკრიზისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N92/04 ბრძანებით დამტკიცებული "კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფინანსური ინფორმაციის გამზღვევის წარმატების შესრულების დროს" (შემდგომ ცვლილებებით) მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წარმატებს. რეგულაციის თანახმად, არ არის სავალდებულო პილარ 3-ის ფინანსური გამოქვეყნებული ინფორმაციის აუდიტი.

3 ძირითადი მაჩვენებლები

ცხრილში მოცემულია სს „ვითიგი პანი ჯორჯიას“ ძირითადი მაჩვენებლები 2018 და 2017 წლის მდგრადარეკიტ:

საანგარიშგებო ცენტ	2018	2017
საზედამხედველო კაპიტალი (მოცულობა, ლარი)		
ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით		
ძირითადი პირველადი კაპიტალი	189,346,178	160,969,014
პირველადი კაპიტალი	200,922,578	174,449,514
საზედამხედველო კაპიტალი	269,689,213	198,148,359
რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები (ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით)	1,503,903,294	1,315,637,558
კაპიტალის კოეფიციენტები		
ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით		
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი $\geq 8.85\%$ (2017-ში $\geq 8.10\%$)	12.59%	12.24%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი $\geq 10.97\%$ (2017-ში $\geq 9.98\%$)	13.36%	13.26%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი $\geq 17.23\%$ (2017-ში $\geq 12.47\%$)	17.93%	15.06%
მოგება		
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	2.0%	1.6%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	16.3%	14.6%
აძლილების ხარისხი		
უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	6.0%	5.9%
მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	14.7%	1.2%
ლიკვიდობა		
ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	23.7%	25.6%
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (%)	109%	113%
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	369,227,759	375,458,885
ფულის წმინდა გადინება (სულ)	337,331,837	330,970,292

2017 და 2018 წლების კვარტლების პანის ძირითადი მაჩვენებლების შესაძარისი მონაცემები
მოცემულია ანგარიშგების თანამდებობის დანართულ დანართები.

4 კაპიტალის შესახებ ინფორმაცია

4.1 კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები

კომერციულ ბანკებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული 2013 წლის 28 ოქტომბრის N100/04 ბრძანებით „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ევალებათ კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების სავალდებულო დაცვა.

2017 წლის 18 დეკემბერს ეროვნულმა ბანკმა წარმოადგინა დამატებითი ბრძანება N175/04, რომლის საფუძველზეც კაპიტალის მინიმალურმა მოთხოვნებმა შეადგინა 4.5%, 6% და 8%-ს ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალისა და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების შესაბამისად. ასევე აქამდე პილარ 1-ის ქვეშ ინტეგრირებული კონვერსიის ბუფერი საერთო მოცულობით 2.5% საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნებიდან ცალკე გამოიყო.

პილარ 2-ის ქვეშ კომერციულ ბანკებს დამატებით დაევალათ შემდეგი ბუფერების მოთხოვნების დაცვა:

- არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი;
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი, რომელიც სახელობითი კონცენტრაციისა და სექტორული კონცენტრაციის ბუფერებისგან შედგება;
- წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი — საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით დაწესებული ბუფერი;
- წმინდა GRAPE ბუფერი — ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის რისკის კატეგორიების შეფასებისა და ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის შედეგების განხილვის ფარგლებში დაწესებული ბუფერი.

არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი უნდა დაკმაყოფილდეს საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების იმავე პროპორციით, როგორც მინიმალურ მოთხოვნებშია მოცემული.

გამომდინარე იქიდან, არსებული რეგულაცია მოიცავს გარდამავალ პერიოდს 2022 წლამდე, 2022 წლის შემდგომ პილარ 2-ის ფარგლებში განსაზღვრული კაპიტალის ნებისმიერი ბუფერის დაკმაყოფილება უნდა მოხდეს ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტებით მინიმუმ 56%, პირველადი კაპიტალის მინიმუმ 75%, ხოლო დარჩენილი წილი (მაქსიმუმ 25%) შესაძლოა დაცული იყოს მეორადი კაპიტალის ელემენტებით.

4.2 კაპიტალის ინსტრუმენტები

პილარ 1-ის რეგულაციების მიხედვით კომერციული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა მისი საზედამხედველო კაპიტალით განისაზღვრება, რომელშიც ჩართული უნდა იყოს ისეთი ინსტრუმენტები, რომელებიც უზრუნველყოფენ კომერციული ბანკის სტაბილურობისა და მდგრადობის პრინციპებს.

საზედამხედველო კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტების ჯამისაგან:

- პირველადი კაპიტალი, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისაგან ძირითადი პირველადი კაპიტალი დამატებითი პირველადი კაპიტალი დამატებითი პირველადი კაპიტალი მეორადი კაპიტალი (სალიკვიდაციო კაპიტალი)

პირველადი კაპიტალი შედგება ისეთი ინსტრუმენტებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ზარალის უპირობოდ მათი წარმოქმნისთანავე დაფარვა ისე, რომ კომერციულმა ბანკმა შეძლოს თავისი საქმიანობის შეფერხების გარეშე გაგრძელება. პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტები კომერციულ ბანკს უნდა აძლევდეს გადახდების განხორციელების შესაძლებლობას მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ (მათი გადაუხდელობა არ უნდა იწვევდეს კომერციული ბანკის დეფოლტს) და ზარალის დაფარვისათვის მათი სრულად გამოყენების შესაძლებლობას.

ბანკის ძირითადი პირველადი კაპიტალი არის საკუთარი კაპიტალის უმთავრესი წყარო და გამოითვლება როგორც ჩვეულებრივი აქციების მთლიან კაპიტალს გამოკლებული საზედამხედველო კორექტირებები.

დამატებითი პირველადი კაპიტალი შედგება ბანკის მიერ გამოშვებული უვადო სუბორდინირებული ვალისაგან, რომელიც მოიცავს 300 მილიონ რუსულ რუბლს და მონაწილეობას იღებს კაპიტალის გაანგარიშებაში 2016 წლის 29 დეკემბერიდან. უვადო სუბორდინირებულ სესხს ვადა არ აქვს განსაზღვრული და ბანკს აქვს მისი გამოსყიდვის საშუალება. კუპონის განაკვეთი მოიცავს რუსეთის ცენტრალური ბანკის ძირითად განაკვეთს + 2.5%-ისგან. ბანკს უპირობო უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ გააუქმოს საპროცენტო გადახდები გადახდის თარიღამდე სესხის გამცემისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

მეორადი კაპიტალი არის საკუთარი კაპიტალის დამატებითი წყარო და შედგება სუბორდინირებული ვალისაგან, რომელიც მიეკუთვნება მეორად კაპიტალსა და საერთო რეზირვებს, რომლებიც შემოიფარგლება ბანკის საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების მაქსიმუმ 1.25%-ის ოდენობით.

ბანკის მეორად კაპიტალში შემავალი სუბორდინირებული ვალი მოიცავს შემდეგი ინსტრუმენტების ჩამონათვალს:

2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება მშობელ ბანკთან 126,400 ათასი რუსული რუბლის ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე, საპროცენტო განაკვეთით 11%, რომლის გადახდის ვადა განისაზღვრება 2021 წლის 13 ოქტომბრამდე. 2018 წლის 31 ივლისს განხორციელდა სუბორდინირებული სესხის რესტრუქტურიზაცია საპროცენტო განაკვეთით 7,5%, ხოლო სესხის გადახდის ვადა განისაზღვრება 2025 წლის 14 ოქტომბრამდე;

2018 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება მშობელ ბანკთან 816,985 ათასი რუსული რუბლის ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე, საპროცენტო განაკვეთით 10.5%, რომლის გადახდის ვადა განისაზღვრება 2025 წლის 29 აგვისტომდე;

2018 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება მშობელ ბანკთან 414,000 ათასი რუსული რუბლის ღირებულების სუბორდინირებული სესხის გამოყოფის თაობაზე, საპროცენტო განაკვეთით 11.5%, რომლის გადახდის ვადა განისაზღვრება 2025 წლის 26 დეკემბრამდე.

ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, ამ სესხების დაფარვა მოხდება მხოლოდ ბანკის ძირითადი კრედიტორების წინაშე არსებული ვალდებულებების დაფარვის შემდეგ.

**ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვევაპია განცის 2018 წლის საზედამხედველო
კაპიტალის ელემენტების რიცხვობრივი მონაცემები პილარ 1-ის რეგულაციის
ფარგლებში ერთეულ ეროვნულ ვალუტაში (ლარებში):**

	2018	2017
ძირითადი პირველადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებამდე		
ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც აქმაყოფილებენ ძირითადი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	209,008,277	209,008,277
აკუმულირებული სხვა სრული შემოსავალი	9,827,019	3,074,724
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	(11,632,761)	(39,909,913)
ძირითადი პირველადი კაპიტალი	207,202,535	172,173,088
ძირითადი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირებები		
აქტივების გადაფასების რეზერვი	9,827,019	3,074,724
არამატერიალური აქტივები (მათ შორის გუდვილი)	8,029,338	8,129,350
ძირითადი პირველადი კაპიტალის საზედამხედველო კორექტირებები	17,856,357	11,204,074
ძირითადი პირველადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებების შემდეგ	189,346,178	160,969,014
დამატებითი პირველადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებებამდე		
ინსტრუმენტები, რომლებიც აქმაყოფილებენ დამატებითი პირველადი კაპიტალის კრიტერიუმებს	11,576,400	13,480,500
დამატებითი პირველადი კაპიტალი	11,576,400	13,480,500
პირველადი კაპიტალი	200,922,578	174,449,514
მეორადი კაპიტალი საზედამხედველო კორექტირებებამდე		
ინსტრუმენტები, რომლებიც აქმაყოფილებენ მეორადი კაპიტალის კრიტერიუმებს	52,378,780	9,629,150
საერთო რეზერვები საკრედიტო რისკის მიხედვით შენონილი რისკის პოზიციების მაქსიმუმი 1.25%—ის ოდენობით	16,387,855	14,069,694
მეორადი კაპიტალი	68,766,635	23,698,845
სულ საზედამხედველო კაპიტალი	269,689,213	198,148,359

5 განცის სტრუქტურა

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ (შემდგომში „ბანკი“) 1995 წლის 7 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სახელწოდებით. თბილისის ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ბანკს მიანიჭა სარეგისტრაციო ნომერი 202906427. 2006 წლის 7 დეკემბერს ბანკმა შეიცვალა სახელი და ენოდა „ვითიბი ბანკი ჯორჯია“. ბანკი საქმიანობს საქართველოს ეროვნული ბანკის (მემდევგში მოხსენიებული, როგორც „სებ“-ი) მიერ 1995 წლის 19 მაისს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი არ ფლობს შვილობილ კომპანიებს. 2018 წლის 8 ნოემბერს შპს „ქართული ფონდის კომპანია“, ბანკის 100%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანია, ლიკვიდირებულ იქნა.

6 აქციონერთან დაკავშირებული საკითხები

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგრადარაობით, პაციის მიმოქვევაში გამომდებული აქციების 1%-ზე მეტს ფლობდნენ შემდეგი აქციონერები:

პარტიონი	2018 %	2017 %
ღსს „პაციი ვეტერი“	97.38	97.38
შპს „ლაკარპა ენტერპრაიზისი“	1.47	1.47
სხვა	1.14	1.14
სულ	100.0	100.0

ღსს „ბანკი ვეტერი“, (შემდგომში „მშობელი ბანკი“) არის ბანკის პირდაპირი მშობელი კომპანია. ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელ მხარე არის რუსეთის ფედერაციის მთავრობა, რომელიც მოქმედებს „ქონების ფედერალური სააგენტოს“ მეშვეობით და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ფლობს მშობელი ბანკის გამოშვებული და მიმოქცევაში მყოფი აქციების 60.93%-ს (2017 წ.: 60.93%).

აქციონერთა კრების მიმოხილვა და აქციონერთა უფლებაები

აქციონერთა უფლებაები: აქციონერები არ არიან პასუხისმგებელნი ბანკის ვალდებულებებზე და ატარებენ ზარალის რისკს, დაკავშირებულს ბანკის საქმიანობასთან, მათი კუთვნილი აქციების ღირებულების ფარგლებში.

ბანკის ყოველი ჩეულებრივი აქცია ანიჭებს აქციონერს - მის მფლობელს უფლებათა ერთნაირ მოცულობას, ბანკის ჩეულებრივი აქციის მფლობელს-აქციონერს უფლება აქვს:

- მიიღოს მონაწილეობა აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში ხმის უფლებით, აქციონერთა საერთო კრების კომპეტენციის ყველა საკითხთან დაკავშირებით.
- მიიღოს დივიდენდი აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
- ბანკის ლიკვიდაციის შემდეგ მიიღოს ბანკის ქონების ნაწილი, მის მფლობელობაში არსებული აქციების ღირებულების პროპორციულად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

7 კონკრეტული მართვა

აქციონერთა კრების მიმოხილვა

2018 წელს ჩატარდა აქციონერთა წლიური საერთო კრება და მიღებულ იქნა აქციონერის ერთპიროვნული ორი გადაწყვეტილება.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ აქციონერთა წლიურ საერთო კრებას ესწრებოდა ხმის უფლების მქონე აქციათა 97.142084 %-ის მფლობელი აქციონერი.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე განხილულ იქნა ბანკის წლიური შედეგები და დივიდენდის განაწილების საკითხი. აქციონერის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით განხორციელდა ბანკის წესდებაში ცვლილების შეტანა და სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილება.

სამართლებურო საბჭო და მასთან არსებული აუდიტის კომიტეტი სამართლებურო საბჭოს შემადგენლობა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრული იყო 6 წევრით:

- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ვლადიმირ ვერხოშინსკი;
- სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - ილნარ შაიმარდანოვი;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - სერგეი სტეპანოვი;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი - მაქსიმ კონდრატენკო;
- სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - მერაბ კაკულია;
- სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - გორგა მაცაბერიძე;

2019 წლის 28 იანვრის საჯარო სააქციო საზოგადოება „ბანკ ვეტებეს“ ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ვლადიმირ ვიაჩესლავის ძე ვერხოშინსკის, იმავდროულად არჩეულ იქნა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი ოლეგ ევგენის ძე სმირნოვი.

2018 წლის 31 მაისის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა აუდიტის კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელიც შედგება სამი წევრისგან:

- თავმჯდომარე - ილნარ შაიმარდანოვი;
- წევრი - მერაბ კაკულია;
- წევრი - გორგა მაცაბერიძე;

სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბანკის საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და განვითარების სტრატეგიას. აუდიტის კომიტეტი განიხილავს შიდა აუდიტის დასკვნებს, შიდა აუდიტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მარეგლამენტირებელ დოკუმენტებს და ა.შ.

სამართლებურო საბჭოს წევრების განათლება და გამოცდილება

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აირჩევიან აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. მათი განათლება, გამოცდილება და საქმიანი რეპუტაცია სრულად შეესაბამება და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს - ვლადიმირ ვერხოშინსკის დამთავრებული აქვს რუსეთის მთავრობასთან არსებული ფინანსური უნივერსიტეტი, ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით, ასევე, მიღებული აქვს ამერიკის სტენფორდის უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი. ვლადიმირ ვერხოშინსკის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2016 წლიდან იყო „ბანკი ვეტებეს“ (სსს) მმართველობის წევრი, იგი აქტიურად ავითარებდა საცალო საბანკო ბიზნესს „ვეტებე ჯგუფის“ ფარგლებში.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და თბილისის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ს/კ ინსტიტუტის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მერაბ კაკულიას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ 2018 წლიდან იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის პოზიციას.

სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრს - გოჩა მაცაბერიძეს დამთავრებული აქვს მოსკოვის კავშირგაბმულობის ელექტრო-ტექნიკური ინსტიტუტი, ავტომატური ელექტროკავშირის ინჟინრის პეციალობით, ასევე, გავლილი აქვს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან

არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკური მეცნიერების არასრული კურსი. გოჩა მაცაბერიძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ 2018 წლიდან იკავებს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის პოზიციას.

სამეთვალყურეო საბჭოსა და აუდიტის კომიტეტის სედოვაბის ჩატარების სიხშირე, წევრების დასწრების სტატისტიკა და სედოვაბზე განხილული საკითხების თავათური მიმოხილვა

სამეთვალყურეო საბჭო

2018 წლის განმავლობაში ჩატარდა 11 სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, მათ შორის 4 სხდომა სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დასწრებით, 7 სხდომა დაუსწრებელი კენჭისყრით, გამოკითხვის წესით.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დასწრება შეადგენდა 100 %—ს.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განხილული ძირითადი საკითხები მოიცავდა: აქციონერთა კრების საქმიანობას, საკადრო საკითხებს, ბიზნესგეგმის დამტკიცებასა და მისი შესრულების ანგარიშებს, შიდა აუდიტის საქმიანობას, ბანკთან დაკავშირებულ პირთან გარიგების მოწონებას, ფილიალების შექმნასა და მათი დებულებების დამტკიცებას, შიდამარეგლამენტირებელი დოკუმენტების დამტკიცებას, როგორიცაა: ბანკის საორგანიზაციო სტრუქტურა, ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსი, ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების დარღვევის შესახებ განცხადებების/საჩივრების მიღებისა და განხილვის წესი, საკრედიტო კომიტეტის დებულება, ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ დებულება, საკრედიტო პოლიტიკა, რისკებისა და კაპიტალის მართვის სტრატეგია, რისკ-აპეტიტის დებულება.

პილარ აუდიტის კომიტეტი

2018 წლის განმავლობაში ჩატარდა შიდა აუდიტის კომიტეტის 5 სხდომა, მათ შორის 3 სხდომა აუდიტის კომიტეტის წევრების დასწრებით, 2 სხდომა დაუსწრებელი კენჭისყრით, გამოკითხვის წესით.

აუდიტის კომიტეტის მიერ განხილული ძირითადი საკითხები მოიცავდა: შიდა აუდიტის სამმართველოს კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს, შიდა აუდიტის სამმართველოს მუშაობის წლიურ გეგმას, შიდა აუდიტის სამმართველოში ვაკანტურ თანამდებობებზე თანამშრომლების კანდიდატურების შეთანხმებას.

სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატისა და გენერალური დირექტორის კომპეტენცია კომპანიების დასახურების შესახებ

სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატისა და გენერალური დირექტორის კომპეტენცია განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიაში“ წესდებით.

პასუხისმგებლობის დელეგირება შესაძლებელია შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ბანკში მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ინტერესთა კონფლიქტის მართვის შესახებ დებულება, რომლის შესაბამისადაც და ლიმიტების ფარგლებში მტკიცება ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.

დირექტორატი და დირექტორატთან არსებული კომიტეტები

დირექტორატის შემადგენლობა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დირექტორატის შემადგენლობა განსაზღვრული იყო 6 წევრით:

გენერალური დირექტორი - არჩილ კონცელიძე;
ფინანსური დირექტორი - მამუკა მენთეშაშვილი;
საცალო ბიზნესის დირექტორი - ვალერიან გაბუნია;
კორპორატიული ბიზნესის დირექტორი - ვლადიმერ რობაქიძე;
რისკების დირექტორი - ნიკო ჩხეტიანი;
საოპერაციო დირექტორი - ირაკლი დოლიძე

დირექტორატთან არსებული კომიტეტები:

საკრედიტო კომიტეტი - შედგება 7 წევრისგან, მათ შორის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები;

აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტი - შედგება 9 წევრისგან, მათ შორის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები;

საბიუჯეტო კომიტეტი - შედგება 8 წევრისგან, მათ შორის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები;

პრობლემური კრედიტების კომიტეტი - შედგება 6 წევრისგან, მათ შორის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები;

დირექტორატის ნევრთა განათლება და გამოცდილება

დირექტორატის წევრები ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. მათი განათლება, გამოცდილება და საქმიანი რეპუტაცია სრულად შესაბამება და აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გენერალურ დირექტორს - არჩილ კონცელიძეს აქვს მიღებული საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის განათლება, მანქანათმმენებლობის დარგში, ასევე აქვს მიღებული ამერიკის წმ. ბონავენტურას უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი

კორპორატიული ფინანსების განხრით. არჩილ კონცელიძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, 2009 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის პოზიციას.

ფინანსური დირექტორს - მამუკა მენთეშაშვილს აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, მანქანათმმენებლობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობით, ასევე აქვს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლება საინჟინრო ეკონომიკის სპეციალობით. მამუკა მენთეშაშვილს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2009 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ დირექტორის პოზიციას.

საცალო ბიზნესის დირექტორს - ვალერიან გაბუნიას აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვის სპეციალობით. ასევე აქვს მიღებული ჩესტერის უნივერსიტეტის ბიზნეს-სკოლის ბიზნესის მაგისტრის ხარისხი. ვალერიან გაბუნიას მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, 2010 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ საცალო ბიზნესის დირექტორის პოზიციას.

კორპორატიული ბიზნესის დირექტორს - ვლადიმერ რობაქიძეს აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლება, საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკა და მართვის სპეციალობით. აქვს ასევე მიღებული ამავე უნივერსიტეტის განათლება სამართალმცოდნეობის სპეციალობით. ვლადიმერ რობაქიძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2011 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ კორპორატიული ბიზნესის დირექტორის პოზიციას.

რისკების დირექტორს - ნიკო ჩხეტიანს აქვს მიღებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ის განათლება, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით, აქვს მიღებული ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი. ნიკო ჩხეტიანს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2008 წლიდან იგი იკავებს სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ დირექტორის პოზიციას.

საოპერაციო დირექტორს - ირაკლი დოლიძეს აქვს მიღებული ამერიკის ინდიანაპოლისის უნივერსიტეტის განათლება, ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხით. ასევე აქვს მიღებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით. ირაკლი დოლიძეს მრავალწლიანი გამოცდილება აქვს საბანკო სფეროში, 2009 წლიდან იგი იკავებდა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ ვიცე-პრეზიდენტი-პერსონალის სამმართველოს უფროსის პოზიციას, ხოლო 2015 წლიდან იკავებს საოპერაციო დირექტორის პოზიციას.

დირექტორათის მიმოხილვა პასუხისმგები სფეროების მიხედვით

დირექტორატის შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგი პასუხისმგებელი სფეროების მიხედვით: ფინანსური, კორპორატიული ბიზნესის, რისკების, საცალო ბიზნესის და საოპერაციო.

8 ბანკის სტრატეგია

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ მომდევნო სამი წლის სტრატეგიული გეგმა მოიაზრებს ბანკის არსებული ფილიალების და სერვისცენტრების ქსელის მაქსიმალური დატვირთვით გამოყენებით და აგრეთვე ელექტრონული გაყიდვის არხების მეშვეობით ბანკის სტრატეგიული მიზნების შესრულების უზრუნველყოფას.

სამწლიანი სტრატეგიული გეგმის მთავარი მიზნები შემდეგია:

ბანკს გააჩნია სამი ძირითადი ბიზნესმიმართულება: კორპორატიული ბიზნესი, მცირე და საცალო ბიზნესი.

აღნიშნული ბიზნესებიდან ფიზიკური პირების ბიზნესი განაპირობებს ძირითადად საბანკო ტრანზაქციების და შესაბამისად საბანკო ოპერაციების ზრდას. აღნიშნულიდან გამომდინარე ბანკი უახლოესი სამი წლის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ბანკი-კლიენტის პროგრამული უზრუნველყოფის დახვენა/განვითარებაზე, მობაილ ბანკინგის განვითარებაზე, CRM პროგრამის უფრო სილრმისეულ და მრავალფუნქციონალურ დანერგვაზე, სხვა ელექტრონული გაყიდვის არხების იმპლემენტაციაზე, რამაც საბოლოოდ უნდა მოიტანოს ბანკის კლიენტი ფიზიკური პირების კმაყოფილება და ლოიალობა და გაზარდოს ბანკის ოპერაციების რაოდენობა. ბანკი აგრეთვე აპირებს ფილიალების ქსელში გაატაროს მომსახურების ოპტიმიზირებული საოპერაციო მოდელი კლიენტების მომსახურებით მეტი კმაყოფილების მიღწევისთვის. აღნიშნულმა სტრატეგიულმა გეგმებმა უნდა განაპირობოს ბანკის საკომისიო და სხვა არაპროცენტული შემოსავლების ზრდა.

კორპორატიული და მცირე ბიზნესის მიმართულებით ბანკი გეგმავს მომსახურების პროცესების ოპტიმიზირებას და დახვენას, კლიენტის მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველყოფას, რაც განაპირობებს ამ ბიზნესების მდგრად და თანაბარზომიერ განვითარებას.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნების განხორციელება უახლოესი 3 წლის პერსპექტივაში განაპირობებს:

- კორპორატიული და მცირე ბიზნესის საკრედიტო პორტფელების ზრდას არაუმცირეს 10%;
- ფიზიკური პირების დაკრედიტების ზრდას არაუმცირეს 7%;
- მოსალოდნელია საპროცენტო მარჟის შენარჩუნება არანაკლებ 5% დონეზე;
- საკომისიო და სხვა არასაპროცენტო შემოსავლების საშუალო ყოველწლიურ ზრდას არაუმცირეს 11%;
- ბანკის მიზანია ხარჯების შემოსავლებთან შეფარდება დაიყვანოს არაუმეტეს 56% დონეზე;
- უზრუნველყოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ბაზელ 3-ის ჩარჩოთი განსაზღვრული კაპიტალის ადეკვატურობის და სხვა პრუდენციალური კოეფიციენტების შესრულება.

9 რისკების მართვა

9.1 პაციოს რისკის სტრატეგია

საერთო დაგულებები

ბანკის რისკების მართვის ჩარჩო დოკუმენტს წარმოადგენს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ რისკებსა და კაპიტალის მართვის სტრატეგია (შემდგომ „რისკების სტრატეგია“), რომელიც დამტკიცებულია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. დოკუმენტი განსაზღვრავს რისკებისა და კაპიტალის მართვის სფეროში სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს, რისკების მართვის ორგანიზაციის სისტემას, რისკების იდენტიფიცირების ძირითად პრინციპებს, არსებითი რისკების სისტემას, რისკ-აპეტიტის ჩარჩოს და რისკებისა და კაპიტალის მართვის სისტემის განვითარების სტრატეგიის ძირითად დებულებებს.

ბანკი თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს სს „ვეტებე ჯგუფის“ (შემდგომ „ჯგუფი“) რისკების სტრატეგიით ლოკალური თავისებურებების, მოქმედი კანონმდებლობისა და საზედამხედველო მოთხოვნების გათვალისწინებით. რისკების სტრატეგია ეფუძნება ბანკის განვითარების საშუალოვადიან სტრატეგიას.

რისკების სტრატეგია ექვემდებარება რეგულარულ გადასინჯვას.

რისკებისა და ბანკის კაპიტალის მართვის სისტემა წარმოადგენს რისკების და კაპიტალის მართვის ფუნქციების განხორციელებელი კოლეგიალური ორგანოებისა და ქვედანაყოფების, შიდა დოკუმენტების (მეთოდები, მოდელები), პროცესებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) ერთმანეთთან დაკავშირებული სისტემების ერთობლიობას, რომლის მეშვეობით ბანკი უზრუნველყოფს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, რისკების მონიტორინგს და კოტროლს.

რისკების მართვის ჩარჩო მოიცავს ყველა არსებით მიმართულებას და ბანკისათვის მნიშვნელოვან რისკებს, რომლებიც ჩამოთვლილია წინამდებარე თავის 9.3 პუნქტში.

ყველა ამ რისკის მიმართ ფორმირდება (მეთოდოლოგიურად და ორგანიზაციულად) პოლიტიკები და შესაბამისი პროცედურები.

სტრატეგიული მიზანი და ამოცანები

ბანკის რისკებისა და კაპიტალის მართვის სისტემის ფუნქციონირების ძირითად სტრატეგიული მიზანს წარმოადგენს შესაბამის, შემოსავლების მიუღებლობის/ ფინანსური დანაკარგების თავიდან აცილება და მინიმიზაცია. ბანკი უზრუნველყოს ფინანსური საიმედოობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას გრძელვადიან პერსპექტივაში მისი განვითარების სტრატეგიის შესაბამისად.

ბანკის რისკებისა და კაპიტალის მართვის სისტემა შესაბამება ბანკის მიერ განხორციელებულ ყველა საქმიანობის/ოპერაციების ხასიათს და მასშტაბებს, აღებული რისკების დონეს.

ბანკის რისკების ძირითად სტრატეგიულ ამოცანებს წარმოადგენს მარეგულირებელი და საზედამხედველო ორგანოების მოთხოვნების შესრულება, ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი რისკების იდენტიფიცირება, რისკების ანალიზი, რისკ-კულტურის განვითარება, რისკების საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული ეფექტური შეფასების, კონტროლის (შეზღუდვის) და მათი მონიტორინგის გამოყენება, ბანკის რისკების შეფასება რისკ-აპეტიტის მაჩვენებლების გამოყენებით, რისკების დასაფარად კაპიტალის ადეკვატურობის დონის უზრუნველყოფა და მუდმივი კონტროლი, კრიზისულ სიტუაციებში ბანკის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა და რისკისა და კაპიტალის მართვის სისტემის, სტრატეგიული და ბიზნეს- დაგეგმვის პროცესებში ეფექტიანი ინტეგრირების უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული მიზნები და ამოცანები გრძელვადიანი ხასიათისაა და მათი დეტალიზაცია და დაზუსტება ხდება ოპერატორულ დონეზე მიმდინარე საქმიანობის განხორციელებისას და რისკებისა და კაპიტალის მართვის პროცესების სრულყოფის ღონისძიებების გატარების დროს.


მიდგომები რისკების მართვის სისტემის ორგანიზაციის მიმართ რისკების სისტემის ორგანიზაციის მიმართ მოთხოვნები განისაზღვრება შესაბამისი მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტებით. მარეგულირებელი ბაზა ყალიბდება თითოეული ძირითადი რისკის ჭრილში. ბანკში რისკების მართვის მეთოდები და პროცედურები მიმართულია „ბაზელის“ მიდგომების დასაწერგად, საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნების გათვალისწინებით. ბანკის რისკების მართვის მიდგომები ხორციელდება საზედამხედველო მოთხოვნების, ჯგუფის სტანდარტებისა და ბანკის რისკ-პროფილის შესაბამისად. მასში იგულისხმება რისკების იდენტიფიცირების, შეფასების მეთოდები, ლიმიტების სისტემა, ეკონომიკური კაპიტალის (Capital-at-Risk) შეფასება, სესხებისა და სხვა სახის ოპერაციების მიხედვით შესაძლო დანაკარგების რეზისურების მეთოდოლოგია ფასს-ისა და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად, სტრეს-ტესტირების მეთოდოლოგიური პლატფორმა, რისკ-აპეტიტის მაჩვენებლების სისტემა, პოტენციურ-პრობლემური დავალიანების გამოვლენისა და მუშაობის მეთოდები, რისკების მართვის უზრუნველყოფი ავტომატიზებული სისტემები. გარდა აღნიშნულისა, ბანკი განსაზღვრავს რისკის აღებასთან დაკავშირებულ ოპერაციების (გარიგებების) საკითხებზე ბანკის მმართველობითი ორგანოების უფლებამოსილებას და შიდა კონტროლის განხორციელების წესებს.

რისკების იდენტიფიცირების ძირითადი პრიციპები

რისკების იდენტიფიცირების პროცესის ორგანიზაცია ბანკში მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- პოტენციური რისკების ჩამონათვალის განსაზღვრას, საბანკო რისკების საზედამხედველო და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
 - ოპერაციების სახეების /საქმიანობის სახეების განსაზღვრას, რომელთათვის დამახასიათებელია გამოვლენილი რისკები, ასევე ქვედანაყოფები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ რისკების მონიტორინგზე;
 - რისკების ჩამონათვალის მუდმივი განახლება, კერძოდ ახალი სახეებისა და ქვესახეების გამოვლენის დროს ბიზნესის განვითარების ღონისძიებების შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში, რომელსაც ითვალისწინებს განვითარების სტრატეგია და ბიზნეს-გეგმა, ასევე შიდა აუდიტის ქვედანაყოფის მიერ საკონტროლო ფუნქციების განხორციელების პროცესში;
 - რისკების ანალიზი, გამოვლენილი მათი იდენტიფიკაციის პროცესში, ბანკის სტაბილურობაზე მათი გავლენის განსაზღვრის მიზნით;
 - ანგარიშების ფორმირება გამოვლენილი და შეფასებული ძირითადი რისკების შესახებ რისკებისა და კაპიტალის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა
 - რისკებისა და კაპიტალის მართვის ფუნქციები ბანკში ხორციელდება შემდეგი კოლეგიალური ორგანოებისა და ბანკის რისკებისა და კაპიტალის მართვის სისტემა სხვა მონაწილეების მიერ:
 - სამეთვალყურეო საბჭო;
 - დირექტორატი;
 - სპეციალური კოლეგიალური ორგანოები (საკრედიტო კომიტეტი, აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტი);
 - უფლებამოსილი თანამდებობის პირები/ ჯგუფები, სტრუქტურული ქვედანაყოფები.
- მითითებული მუშა ორგანოების სტატუს, საქმიანობის მიმართულებები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით.
- რისკებისა და კაპიტალის სტრატეგია, პოლიტიკები და კონცეფციები განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე. დირექტორატი ამტკიცებს სხვა დანარჩენ მარეგულირებელ დოკუმენტებს. მეთოდოლოგიური და ოპერატიული ხასიათის საკითხები, რომელიც ეხება რისკებისა და კაპიტალის ადეკვატურობის კონტროლს, განიხილება კომიტეტების მიერ.
- სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და მუშაკთა (თანამდებობის პირთა) ფუნქციები და უფლებამოსილებები რისკებისა და კაპიტალის მართვის სფეროში განისაზღვრება ბანკის მარეგულირებელი აქტებით.

რისკების მართვის სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ სქემით:



9.2 რისკ-აპეტიტი

რისკ-მენეჯმენტის ერთ-ერთ ძირითადი პრინციპს წარმოადგენს ბანკის საქმიანობის მართვა რისკ-აპეტიტის გათვალისწინებით.

რისკ-აპეტიტი გამოიყენება ბანკის სამედოდ ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში, მათ შორის სტრუქტულ სიტუაციაში.

ბანკის რისკ-აპეტიტს განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად.

რისკ-აპეტიტი წარმოადგენს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების სისტემას, რომელიც განსაზღვრავს რისკების აგრეგირებულ დონეს (პროფილს), რომელსაც ბანკი დაინტერესებული პირების მოთხოვნების გათვალისწინებით, შეუძლია და/ან სურს აიღოს განვითარების დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად სამომავლოდ.

რისკ-აპეტიტი შედგება მაღალი დონის რისკ-აპეტიტისაგან, ცენტრალიზებული (ჯგუფის დონეზე განსაზღვრული) რისკ-აპეტიტის მაჩვენებლებისაგან, რომელიც ალოკირებულია ბანკზე ჯგუფის მიერ და ლოკალური რისკ-აპეტიტის მეტრიკისაგან, რომელიც განსაზღვრულია ბანკის რისკ-მენეჯმენტისათვის საზედამხედველო მოთხოვნების და შიდა საჭიროებების შესაბამისად საუკეთესო საბანკო პრაქტიკის საფუძველზე.

ბანკის მაღალი დონის რისკ-აპეტიტი მოიცავს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ხასიათის საბაზო დებულებებს (ორიენტირებს). ესენია, შესაძლო ზარალის აცილება, რომელმაც შეიძლება შეაჩეროს ბანკის საოპერაციო საქმიანობა, მათ შორის სტრუქტულ ვითარებაში, ბანკის კაპიტალის იმ დონეზე შენარჩუნება და განვითარება, რომელიც უზრუნველყოს კრედიტორების ინტერესების

დაცვას, ბანკის ლიკვიდურობის უზრუნველყოფა, რომელიც იძლევა კლიენტების წინაშე ვალდებულებების დროული შესრულების გარანტიას, მაღალი საკრედიტო რისკის კონცენტრაციის აცილება, ეროვნული მარეგულირებლის, საერთაშორისო ორგანოების სტანდარტებისა და რეკომენდაციების მოთხოვნების დაცვა; უმნიკლო რეპუტაციის შენარჩუნება, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მინიჭებული ინდივიდუალური საკრედიტო რეიტინგის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

რისკ-აპეტიტი რაოდენობრივი მაჩვენებლების კლასიფიკაცია

რისკ-აპეტიტის რაოდენობრივი მაჩვენებლები ფორმირდება კატეგორიებად შემდეგი საბაზო ჯგუფების ფარგლებში:

- ზარალის ოდენობა რისკების მიხედვით;
- კაპიტალის ადეკვატურობა;
- ლიკვიდობა;
- საბაზრო რისკი;
- აქტივებისა და პასივების სტრუქტურა;
- საკრედიტო კონცენტრაცია.

რისკ-აპეტიტი საკონტროლო მაჩვენებლები

ბანკის რისკ-აპეტიტის რაოდენობრივი მაჩვენებლების (მეტრიკის) მოცულობის (დონის)

დასადგენად გამოიყენება საკონტროლო მაჩვენებლთა შემდეგი სისტემა:

- მიზნობრივი დონე (მნვანე ზონა) - უზრუნველყოფს ბანკის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად აღებული რისკების ოპტიმალურ დონეს;
- ტრიგერი (ყვითელი ზონა) - საკონტროლო მაჩვენებელი, რომლის დარღვევა გულისხმობა ესკალაციას და რისკის შესამცირებლად ღონისძიებების შემუშავებას;
- ლიმიტი (წითელი ზონა) - კრიტიკული მნიშვნელობა, რომლის დარღვევა საფრთხეს უქმნის ბანკის ფინანსურ სტაბილურობას და საჭიროებს რეაგირების საგანგებო გეგმის შემუშავებას. ინფორმაცია რისკ-აპეტიტის მაჩვენებლების შესახებ შეიტანება რისკების თაობაზე ანგარიშგებაში და წარედგინება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ყოველკვარტალურად.

9.3 ძირითადი რისკები

ძირითადი რისკების მიმოხილვა

ბანკი ახდენს რისკების იდენტიფიცირებას, რომელსაც იგი ექვემდებარება ან შეიძლება დაექვემდებაროს. მოცემული იდენტიფიცირების ფარგლებში, მათ შორის განისაზღვრება ბანკისათვის ძირითადი (არსებითი) რისკების სახეები. რისკების იდენტიფიცირების პროცედურები რეგულირდება ბანკის ცალკეული დოკუმენტებით, რომელიც ითვალისწინებს საზედამხედველო მოთხოვნებს.

ბანკი, მისი სიდიდის, საქმიანობის ხასიათისა და მასშტაბებიდან გამომდინარე განსაზღვრავს რისკების შემდეგ ძირითად სახეებს:

- **საკრედიტო რისკები** (დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფებზე საკრედიტო კონცენტრაციის რისკის ჩათვლით);
- **საბაზრო რისკები**: პროცენტული რისკი (საბაზრო წიგნის პროცენტული რისკის ჩათვლით); საბაზრო რისკი (ფინანსური ინსტრუმენტების კონცენტრაციის რისკის ჩათვლით); სავალუტო რისკი;
- **ლიკვიდობის რისკი** (ლიკვიდობის წყაროების კონცენტრაციის რისკის ჩათვლით);
- **საოპერაციო რისკი**.

ძირითადი რისკების მართვის სისტემა გულისხმობს ყოველი ძირითადი რისკების მართვის სისტემისა და ბანკის რისკ—მენეჯმენტის მართვის სისტემის ერთობლიობას, რომელიც მოქმედებს დაწესებული ჯგუფის სტანდარტების გათვალისწინებით.

გარდა ძირითადი რისკებისა, ბანკის რისკების მართვის სისტემა აერთიანებს სხვა რისკებს, მათ შორის:

- **შესაბამისობის რისკის**;
- **რეპუტაციის რისკის**;
- **სტრატეგიულ რისკის**.

ძირითადი რისკების მართვა ბანკში ეფუძნება:

- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონს, სხვა საკანონმდებლო აქტებს, ეროვნული ბანკის ნორმატიულ დოკუმენტებს და მოთხოვნებს;
- „ვეტერე ჯგუფის შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები.
- საბანკო ზედამხედველობის ბაზელი კომიტეტის რეკომენდაციებს, ასევე ევროპული საბანკო ზედამხედველობის რეკომენდაციებს და სტანდარტებს.

ბანკის ძირითადი რისკების მართვის პროცედურების და შეფასების მეთოდების განვითარება და სრულყოფა ხდება „ბაზელის ბანკებზე ზედამხედველობის კომიტეტის“ მიერ მიღებული მოთხოვნების დანერგვის ფარგლებში.

რისკების შეფასებაში იგულისხმება ხარისხობრივი მეთოდები (კერძოდ, ექსპერტული შეფასების მეთოდი) და რაოდენობრივი მეთოდი, მათ შორის დაფუძნებული სხვადასხვა სირთულის მქონე მათემატიკურ და ალბათობრივ—სტატისტიკურ მოდელებზე.

ბანკის ძირითადი რისკების მართვის მიღვომები ხორციელდება საზედამხედველო მოთხოვნებისა და ჯგუფის სტანდარტების გათვალისწინებით ბანკის რისკ—პროფილის, აღებული რისკების თანაზომადებიდან გამომდინარე (იხ. მიღვომები რისკების მართვის სისტემის ორგანიზაციის მიმართ).

რისკ-გენეზეზენტის სტრუქტურა

რისკების შეფასებისა და მართვის პროცედურები, სხვა პირობები ბანკის დონეზე განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის და სხვა შესაბამისი კომიტეტების (საკურედიტო კომიტეტი, აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტის დადგენილებებით. ბანკის უფლებამოსილი ორგანოების მიერ რეალიზდება შემდეგი უფლებამოსილებები:

1) სამეთვალყურეო საბჭო

- განსაზღვრავს და კოორდინირებას ახდენს ბანკის საერთო პოლიტიკას რისკების ცალკეული სახეების სფეროში, რისკების მართვის სფეროში სტრატეგიულ ორიენტირებს ბანკში;
- ამტკიცებს ბანკის რისკებისა და კაპიტალის მართვის სტრატეგიას, მათ შორის მაღალი დონის რისკ—აპეტიტის და რისკ—აპეტიტის მეტრიკის ჩამონათვალს;
- განსაზღვრავს უფლებამოსილი კოლეგიალური ორგანოების სისტემას რისკის მართვის მიზნით;
- იღებს გადაწყვეტილებებს რისკების მართვის საკითხებზე შემთხვევებში, რომლებიც არ შედის ბანკის სხვა უფლებამოსილი (ქვემდებარე) მმართველობითი ორგანოს კომპეტენციაში;
- იხილავს ანგარიშებას რისკების შესახებ თავის კომპეტენციის ფარგლებში.

2) დირექტორატი

- ამტკიცებს რისკების სფეროში მარეგლამენტირებელ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს იმ დოკუმენტების გამოკლებით, რომლებიც განსაზღვრავენ ბანკის პოლიტიკებს და სტრატეგიულ მიმართულებებს;
- იღებს გადაწყვეტილებებს რისკები მართვის საკითხებზე, რომლებიც არ შედიან ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციის წრეში;
- იხილავს ანგარიშებას რისკების შესახებ თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

3) აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტი

- იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც განპირობებულია რისკების ცალკეული სახეების სპეციფიკით;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს საკითხების/დოკუმენტების მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია საბაზრო რისკებისა (საბაზრო რისკები სავაჭრო ოპერაციების, საგალუტო, პროცენტული რისკის მიხედვით) და ლიკვიდობის რისკის მართვასთან;
- იღებს საერთო გადაწყვეტილებებს გარიგებათა ჩატარების პირობებზე, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი რისკების აღებასთან, მითითებული გარიგებების პირობების დაწესების პროცესის რეგლამენტაციასთან, დავალიანების დაფარვის უზრუნველყოფასთან;

- აკონტროლებს დირექტორატისა და აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტის მიერ დაწესებული ლიმიტების, შიდა ნორმატივების, მიზნობრივი ორიენტირების დაცვას, მათ შორის ბანკში დაწესებული რისკ—აპეტიტის ფარგლებში;
- რეგულარულად იხილავს ანგარიშგებას ძირითადი რისკების შესახებ თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4) საკრედიტო კომიტეტი

- იღებს გადაწყვეტილებებს საკრედიტო რისკის მატარებელ გარიგებათა ჩატარების თაობაზე;
- აწესებს ლიმიტებს ბანკის მიერ აღებულ საკრედიტო რისკებზე.
- განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს საკრედიტო რისკის მქონე სხვა სახის საკითხებზე, მისი კომპეტენციის ფარგლებში.

5) რისკების სამმართველო

- უზრუნველყოფს ფინანსური რისკების მართვის სისტემების ეფექტურ ფუნქციონირებას და განვითარებას ბანკში ჯგუფის სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე;
- შეიმუშავებს ძირითადი რისკების მართვის შიდა ნორმატიულ—მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს პრუდენციული მოთხოვნების გათვალისწინებით;
- შეიმუშავებს ბანკში რისკების მართვის სფეროში პრინციპებისა და მიდგომების შესახებ წინადადებებს;
- ახდენს საკრედიტო სტრატეგიების/პოლიტიკების შემუშავებას და შემდგომი რეალიზაციის ღონისძიებების გატარებას;
- ახდენს ბანკის ძირითადი რისკების შემადგენლობაში შემავალი ოპერაციებისა და პროექტების მიხედვით რისკების ანალიზის (მონიტორინგის) ჩატარებას;
- ახდენს ბანკისა და ჯგუფის მმართველობითი ორგანოებისათვის რისკების თაობაზე ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას;

6) შესაბამისობის კონტროლის განყოფილება (შესაბამისობის სამსახური)

- ხელს უწყობს შესაბამისობის რისკების მართვის ეფექტური სისტემის შექმნას;
- შეიმუშავებს შესაბამისობის რიკების მართვასთან დაკავშირებით ძირითად მოთხოვნებს;
- უზრუნველყოფს მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან ბანკზე ზემოქმედების რისკის, ბანკის რეპუტაციის დაკარგვის ან ბანკის ფინანსური დანაკარგების რისკების მართვის ეფექტურ ფუნქციონირებას, რომელიც/რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს კანონმდებლობის, წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობამ (შესაბამისობის რისკები);
- აანალიზებს ბანკის საქმიანობის მიმართულებებს, რომლისათვის დამახასიათებელია მაღალი შესაბამისობის რისკები;
- ახორციელებს შესაბამისობის რისკების მიმდინარე მონიტორინგს და კონტროლს და ბანკის მმართველობით/კოლეგიალურ ორგანოებს წარუდგენს რეკომენდაციებს ამგვარი კონტროლის შედეგად გამოვლენილი შესაბამისობის რისკების მართვის თაობაზე.
- ამზადებს და წარუდგენს ბანკისა და ჯგუფის მმართველობით ორგანოების შესაბამისობის რისკების თაობაზე ანგარიშგებებს, ასევე სხვა ინფორმაციისა და დოკუმენტებისა, ამ ორგანოების მოთხოვნის შესაბამისად;
- აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გაზარდოს შესაბამისობის რისკი და რაოდენობრივი გავლენა იქონიოს ბანკის მოგება-ზარალსა და კაპიტალზე, როგორიცაა ბანკის ბიზნესსაქმიანობა, ბიზნესსაქმიანობასთან და ეთიკურ სტანდარტებთან შეუსაბამობების მოცულობა და მნიშვნელობა, სასამართლო დავებისა და კლიენტების საჩივრების/პრეტენზიების რაოდენობა და მნიშვნელობა.

7) აუდიტის კომიტეტი

- აფასებს რისკების მართვის შიდა კონტროლის სისტემის ხარისხს და ეფექტურობას;
- ახორციელებს რისკების ანალიზს და მონიტორინგს;
- განსაზღვრავს საბანკო ოპერაციების რისკის იმ მიმართულებებს, რომლებიც უნდა დაექვემდებაროს შიდა და გარე აუდიტს:

- აფასებს რისკების მართვის ეფექტურობას;
- წარადგენს სამეთვალყურეო საბჭოზე გამსახილველად შიდა კონტროლის სისტემის და რისკ-მენჯმენტის ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებული ბანკის მარეგლამენტირებელი დოკუმენტების მომზადების შესახებ წინადადებებს.

ბანკი აყალიბებს ბანკის რისკების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე კონტროლის სისტემას. აღნიშნული სისტემა მოიცავს ყოველი ძირითადი რისკის კონტროლის ცალკეულ პროცედურებს.

ინფორმაცია აღნიშნული შემოწმების საქმიანობის შედეგების შესახებ ეგზავნებათ ბანკის ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს და ბანკის პროფილურ ქვედანაყოფებს ძირითადი რისკების მართვის ეფექტურობის ანალიზისათვის, შესაბამისი აუცილებელი მაკორექტირებელი ქმედებების განსახორციელებლად (გამოვლენილი დარღვევების, შეცდომების, ნაკლოვანებების აღმოფხვრა და პროცესების სრულყოფის მიზნით). ძირითადი რისკების მართვის პროცედურები და მეთოდები დეტალურად რეგულირდება ბანკის შიდა დოკუმენტებით, რომლებიც დამტკიცებულია უფლებამოსილი ბანკის კოლეგიალური ორგანოების მიერ.

9.4 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით განსაზღვრული ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, არადროული შესრულების ან არასრული შესრულების შედეგად ზარალის წარმოქმნის რისკი.

კერძოდ, საკრედიტო რისკი დამახასიათებელია იმგვარი ოპერაციებისათვის, როგორიცაა:

- დაკრედიტება;
- გარანტის გაცემა, აკრედიტივების გახსნა და დადასტურება;
- სავალო ფასიანი ქაღალდების შეძენა;
- გარიგებათა მიხედვით უფლების (მოთხოვნის) შეძენა;
- ოქროსა და ფასიანი ქაღალდების სესხება;
- ფინანსური აქტივების გაყიდვა (შეძენა) გადახდის გადავადებით (ფინანსური აქტივების მიწოდება);
- წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებზე სავაჭრო ოპერაციების ჩატარება;
- ლიზინგური ოპერაციები;
- ფაქტორინგული ოპერაციები.

ბანკის მიერ აღებული საკრედიტო რისკის პროფილი (სტრუქტურა) განისაზღვრება ბანკის საკრედიტო პორტფელის შემადგენლობით და ფორმირდება უპირატესად საშუალო ბიზნესის კორპორატიული და მცირე ბიზნესის კლიენტების, საკრედიტო ორგანიზაციების,

აღმასრულებელი ორგანოებისა და ბანკის საცალო კლიენტების საკრედიტო მოთხოვნებით.

კოლეგიალური ორგანოებისა და თანამდებობის პირების უფლებამოსილება რისკის აღებასთან დაკავშირებით

საკრედიტო რისკის მატარებელი ოპერაციების მიხედვით გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებათა სისტემა, განისაზღვრება წესდებითა და ბანკის შიდა მარეგულირებელი აქტებითა და განკარგულებითი დოკუმენტებით.

ბანკის მართვის ორგანოები (აქციონერთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო / დირექტორატი, კომიტეტები) იღებენ გადაწყვეტილებებს საკრედიტო გარიგებებზე ბანკის წესდებითა და ამ ორგანოების დებულებით განსაზღვრული თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

ბანკის მართვის ორგანოებს შეუძლიათ საკრედიტო რისკის მატარებელი ოპერაციებზე გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებათა დელეგირება:

- ბანკის საკრედიტო კომიტეტისათვის, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას საკრედიტო გარიგების ჩატარების/

საკრედიტო ლიმიტების დაწესების/ მსესხებელთა/ საკრედიტო გარიგების სტატუსის განსაზღვრაზე;

- ბანკის თანამდებობის პირებისათვის/ თანამდებობის პირთა ჯგუფებისათვის;
- საცალო ბიზნესის ოპერაციების მიმართ დაიშვება ავტომატურად საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღება ბანკის მიერ გათვალისწინებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სათანადო

შემოწმების გავლის შემდეგ.

ბანკის კოლეგიალური ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საკრედიტო გადაწყვეტილებების მიღებაზე, მოქმედებენ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რომელიც მოცემულია ამ კოლეგიალური ორგანოების დებულებებში. ბანკის თანამდებობის პირისათვის უფლებამოსილების დელეგირება ფორმდება უფლებამოსილი კოლეგიალური ორგანოს გადაწყვეტილებით.

რისკის შეფასების, კაპიტალზე მოთხოვნისა და სტრეს—ტესტირების გეორგიაშვილი

ბანკის მიერ გამოყენებულ საკრედიტო რისკის შეფასების ძირითად მეთოდებს მიეკუთვნება კლიენტების კრედიტუნარიანობის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგია საფინანსო და არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზისა და ექსპერტული შეფასების შედეგად. ამასთან, კლიენტის (დაკავშირებულ კლიენტთა ჯგუფს) რეიტინგის დონე გაითვალისწინება საკრედიტო გარიგების ფასარმოქმნის პირობების განსაზღვრის დროს.

ბანკის საკრედიტო რისკის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი უნივერსალური მიდგომები (სტანდარტები):

1)კორპორატიული საკრედიტო რისკის შეფასების ნაწილში:

ყოველი მნიშვნელოვანი ტიპის/კლასის კონტრაგენტისათვის (ბანკში დადგენილი კლასიფიკაციის შესაბამისად) გამოიყენება კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის შეფასების (რეიტინგის) შესაბამისი შიდა მეთოდოლოგიები, რომლის შედეგადაც განისაზღვრება კონტრაგენტის შიდა რეიტინგი და მისი შესაბამისი კონტრაგენტის დეფოლტში გასვლის პიპოთეტური ალბათობა შემდეგი 12 თვეის განმალობაში (დეფოლტის ალბათობა). შიდა რეიტინგი გადის ექსპერტიზას ბანკში დადგენილი წესის შესაბამისად.

2)საცალო საკრედიტო რისკის ნაწილში:

კლიენტის შეფასება ხორციელდება სკორინგული მოდელების (ბარათების) გამოყენებით, რომელიც აგებულია ბანკის სტატისტიკის (ან ჯგუფის სტატისტიკის) და გარე წყაროების ინფორმაციის საფუძველზე. სკორინგული სისტემა წარმოადგენს ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მიღების ერთიან ცენტრს; კლიენტის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების დროს ტარდება კლიენტის კომპლექსური შეფასება. საკრედიტო რისკის შეფასების მეთოდოლოგიების ეფექტიანობის ამაღლებისათვის მარეგულირებელი მოთხოვნების და ბანკებზე საერთასორისო ზედამხედველობის სტანდარტების გათვალისწინებით, ბანკი იყენებს მისი მეთოდების, მოდელებისა და პროცედურების შიდა ვალიდაციის (შეფასების) განხორციელების წესს. მოცემულ შიდა ვალიდაციის ახორციელებს სათაო ბანკის დამოუკიდებელი ქვედანაყოფი. საკრედიტო რისკის შეფასების მოდელების ვალიდაცია ხორციელდება ამ მოდელები მნიშვნელობის დონიდან გამომდინარე. რისკის შეზღუდვისა და შემცირების მეთოდები ბანკში საკრედიტო რისკების მართვის ძირითადი მიმართულებები (მეთოდები) განისაზღვრება ჯგუფში საკრედიტო რისკების მართვის სტანდარტებით. საკრედიტო რისკის შეზღუდვისა და საკრედიტო რისკის დონის კონტროლის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს საკრედიტო ლიმიტების სისტემა. ბანკის ლიმიტების სისტემა აერთიანებს, როგორც ბანკის ჯგუფისა და ლოკალურ დონეზე განსაზღვრულ, ასევე პრუდენციალურ ლიმიტებს და შეზღუდვებს. ეს ლიმიტები ზღუდვენ როგორც კონკრეტულ კლინტებთან ან დაკავშირებულ ჯგუფთან ოპერაციების მოვულობებს, ასევე საკრედიტო რისკების კონცენტრაციას დონეს სხვადასხვა საქმიანობის მიმართულებებისა და ინსტრუმენტების მიხედვით.

- ლიმიტი ერთი აუტსაიდერზე (ზღუდავს ბანკის საკრედიტო რისკს ერთი მსესხებლის მიმართ და განსაზღვრავს ბანკის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 15%-ს);
- ლიმიტი დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე (ზღუდავს ბანკის საკრედიტო რისკს დაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის მიმართ და განსაზღვრავს ბანკის მიერ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს);
- ლიმიტი ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხაზე (ზღუდავს ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ორმაგ ოდენობას);
- ლიმიტი საბლანკო სესხის საერთო თანხაზე (ზღუდავს ბანკის მიერ გაცემული ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკრედიტო დაბანდების 25%-ს).

ბანკის უნიფიცირებული და ლოკალური მიდგომების ფარგლებში აღებული საკრედიტო რისკის შესამცირებლად ბანკი იყენებს უზრუნველყოფას, მათ შორის მათ შემდეგ ძირითად სახეებს: გირაოს, იპოთეკას, თავდებობას, საბანკო გარანტიას, სახელმწიფო და მუნიციპალურ გარანტიებს. უზრუნველყოფის არსებობა, რომელიც პასუხობს ბანკის მოთხოვნებს და მისი საკმარისობა გაითვალისწინება საკრედიტო გარიგების მიხედვით ღირებულების პირობების განსაზღვრისას, ასევე საკრედიტო გარიგების მიხედვით გადაწყვეტილების მიღებისას. საგირავნო გარიგების ექსპერტიზის ჩატარებისას ბანკში განისაზვრება უზრუნველყოფის საგნის საბაზრო და საგირავნო ღირებულება. მონიტორინგის პროცედურები

ბანკში ხორციელდება საკრედიტო პორტფელის მდგომარეობის მონიტორინგი დაწესებული საკონტროლო პორტფელური ლიმიტების (შეზღუდვების) დაცვის მიზნით, ასევე რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცედურების ფარგლებში.

კორპორატიული დაკრედიტების სეგმენტში საკრედიტო რისკის დონის მონიტორინგის მიზნით წესდება ბანკის რისკ-აპეტიტის მეტრიკები და საკონტროლო მნიშვნელობები (მიზნობრივი დონე, ტრიგერი, ლიმიტი) და სტანდარტიზებული ქმედებები, რომლებიც საჭიროა რისკ-აპეტიტის საკონტროლო მაჩვენებლების მიღწევისას.

საცალო დაკრედიტების სფეროში მონიტორინგი მოიცავს რისკ-აპეტიტის საკონტროლო მაჩვენებლების დაცვის კონტროლს; საცალო პროდუქტების პორტფელის მიხედვით აგრეგირებული და დეტალიზებული მაჩვენებლების, კლიენტების კატეგორიების მიხედვით საკრედიტო პორტფელის ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგს; ანგარიშების ანალიტიკურ სისტემას; პორტფელური რისკ-მენეჯმენტის პროცედურებს, რომელიც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ პორტფელის ხარისხის გაუარესებაზე ოპერატიული რეაგირება და მივიღოთ რისკის შემცირების ღონისძიებები.

საცალო დაკრედიტებაში, ასევე ხორციელდება რისკის დონისა და საცალო საკრედიტო პორტფელის შემოსავლიანობას შორის ბალანსის მონიტორინგი.

შიდა ანგარიშგება

ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და რისკის მართვის სისტემის შესახებ აქციონერებს, კრედიტორებს და სხვა დაინტერესებული მხარეებს ინფორმირების მიზნით, ბანკი რეგულარულად ახდენს გარე ანგარიშების

¹საკრედიტო რისკი, რომლის ოდენობა აღემატება ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს, ითვლება მსხვილად.

მომზადებას ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის საკრედიტო რისკების მართვის საკითხების ჩათვლით.

საკრედიტო რისკების მიხედვით შიდა ანგარიშგება, რომელსაც აყალიბებს ბანკი, მოიცავს საკრედიტო რისკის მართვისათვის აუცილებელ ინფორმაციას საკრედიტო პორტფელის დინამიკისა და სტრუქტურის, რისკ-აპეტიტის (საკრედიტო რისკის მიხედვით) მეტრიკის შესრულების, რეზიუმების დონის მიხედვით, აგრეთვე დადგენილი ლიმიტების დარღვევების ნაწილში აღნიშნული დარღვევების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი / მიღებული ზომების (საჭიროებისას) შესახებ.

შიდა ანგარიშგება წარედგინება ბანკის მენეჯმენტს და სათაო ბანკს დადგენილი წესით.

9.5 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკის ქვეშ მოიაზრება ბანკის ფინანსური შედეგების გაუარესების რისკი აქტივ-პასივების ღირებულების (მოთხოვნების/ვალდებულებების) არახელსაყრელი ცვლილების შედეგად საბაზრო მაჩვენებლების-რისკ ფაქტორების გავლენის გამო (როგორიცაა სავალუტო კურსები, საპროცენტო განაკვეთები, საკრედიტო სპრედები, აქციებისა და საფონდო ინდექსების კოტირებები და სხვა).

ბანკის მიერ აღებული საბაზრო რისკების ხასიათიდან და მათი მართვის მიღვომებიდან გამომდინარე, ბანკის ოპერაციები იყოფა სავაჭრო წიგნის ან საბანკო წიგნის ოპერაციებად.

სავაჭრო წიგნს მიეკუთვნება ოპერაციები, რომლებიც განხორციელებულია მოგების მისაღებად გადაფასებიდან ან სხვა სავაჭრო ოპერაციების ჰეჭირებიდან, ასევე, მათი ფინანსური შედეგი, სავალუტო პოზიცია, ფორმირებული კლიენტებთან ოპერაციების შედეგად.

საბანკო წიგნს მიეკუთვნება ოპერაციები (შემდგომ არასავაჭრო ოპერაციები), რომლებიც არ ექვემდებარებიან საბაზრო გადაფასებას (აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით), და /ან მათი საბაზრო გადაფასება არ არის დამოკიდებული საბაზრო რისკის ფაქტორებზე. დეტალური კლასიფიკაცია ოპერაციებისა საბაზრო რისკების შეფასების და მართვის მიზნებისათვის ბანკს მოცემული აქვს შიდა დოკუმენტებში.

რისკის აღებასთან დაკავშირებული განკის თრგანოებისა და სტრუქტურული ევალანგოზების უფლებამოსილებები ნაწილდება შემდეგნაირად:

საბაზრო რისკების მართვის სფეროში ბანკის ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების უფლებამოსილებები ნაწილდება შემდეგნაირად:

დირექტორატი საბაზრო რისკების ნაწილში ახორციელებს იმ ფუნქციების განხორციელებას, რომელიც მოცემულია ძირითადი რისკების თავში.

აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტი, იხილავს საბაზრო რისკის ნაწილში რისკ-აპეტიტის პარამეტრების მნიშვნელობებს; ახდენს ღია სავალუტო პოზიციის ოდენობის შესაბამისობის კონტროლს სებ-ის ნორმატიული მოთხოვნებთან; აწესებს შიდა ლიმიტებს და შეზღუდვებს საბაზრო რისკებთან მიმართებით; იღებს გადაწყვეტილებას საბაზრო რისკების ჰეჭირების ჩატარებისა და ფორმების მიზანშენონილობაზე.

რისკების ქვედანაყოფი, შეიმუშავებს საბაზრო რისკების შეფასების მეთოდოლოგიას; ამზადებს წინადადებებს საბაზრო რისკების მართვის საკითხებზე; ახორციელებს კონტროლს დაწესებული საკონტროლო მაჩვენებლების, ცალკეული ლიმიტების დაცვაზე.

ხაზინა, ახორციელებს სტრუქტურული და მთლიანი ღია სავალუტო პოზიციის მართვას და, ღია სავალუტო პოზიციის ნორმატიული/საზედამხედველო ლიმიტების კონტროლს; მართავს ბანკის პროცენტულ რისკს და ასრულებს სხვა ფუნქციებს, რომელიც გამომდინარეობს საბაზრო რისკების მართვის ამოცანებიდან, ბანკის მიერ ამ სფეროში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისად.

რისკების აღებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, საბაზრო რისკების მართვის პრინციპები პროცედურები განისაზღვრება ბანკის მარეგულირებელი აქტებითა და დოკუმენტებით.

რისკ-აპეტიტის მაჩვენებლებს საბაზრო რისკების ნაწილში ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

რისკის შეფასების მეთოდები

საბაზრო რისკების შეფასების მეთოდოლოგიას ამტკიცებს ბანკის დირექტორატი.

საბაზრო რისკების შეფასება ხორციელდება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- სავაჭრო წიგნის საბაზრო რისკის შეფასება;
- პროცენტის ცვლილების მიმართ მგძნობიარე საბანკო წიგნის ოპერაციების მიხედვით საპროცენტო რისკის შეფასება;
- სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ მგძნობიარე საბანკო წიგნის ოპერაციების მიხედვით სავალუტო რისკის შეფასება.

ბანკის ძირითადი მაჩვენებლის სახით, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს საბაზრო რისკი სავაჭრო ოპერაციების მიხედვით, არის სავაჭრო წიგნის პოზიციის სტრეს-ტესტირება შესაბამისი სცენარებით, ფინანსური შედეგების ვოლატილობის შესაფასება VaR (Value-at-Risk)

ისტორიული მოდელირების მეთოდით და სავაჭრო ოპერაციების მიხედვით სავაჭრო წიგნის მიხედვით წლის დასაწყისიდან დაგროვილი ზარალი (stop-loss).

ძირითადი პარამეტრები, რომლითაც შეიძლება შეფასებულ იქნას **საპროცენტო რისკი**, არის:

- ბანკის საპროცენტო პოზიციის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ, რომლის შეფასება ხდება (1) საპროცენტო პოზიციის წმინდა დისკონტირებული ღირებულების კლების ოდენობით და (2) შემოსავლიანობის მრუდის 100 საბაზისო პუნქტით არახელსაყრელი პარალელური გადახრის დროს წმინდა საპროცენტო შემოსავლის ოდენობით;
- პროცენტული რისკის დასაფარად საჭირო ეკონომიკური კაპიტალი - საპროცენტო პოზიციის წმინდა დისკონტირებული ღირებულების კლების შეფასება საპროცენტო განაკვეთების არახელსაყრელი შესაძლო ცვლილების დროს.

სავალუტო რისკის რაოდენობრივი შეფასება ღია სავალუტო პოზიციის სტრუქტურის მიხედვით, ხორციელდება VaR მეთოდის გამოყენებით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა შევაფასოთ მაქსიმალურად სავარაუდო (მოცემული ნდობის ინტერვალით) ნეგატიური გავლენა სავალუტო პოზიციის ღირებულების ცვლილების ფინანსურ შედეგზე.

საბანკო წიგნის **სავალუტო რისკის** მართვას ბანკი ახდენს მიღებული მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების საფუძველზე, უზრუნველყოფს რა აქტივებისა და ვალდებულებების შესაბამისობას ვალუტების ჭრილში და ღია სავალუტო პოზიციის დაწესებული შეზღუდვების ჩარჩოში მოქცევას, მათ შორის რისკ-აპეტიტის, ღია სავალუტო პოზიციის საზედამხედველო ლიმიტების ნაწილში. სავალუტო რისკების მართვის მიზნით წესდება ლიმიტები და რიგი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ბანკის სავალუტო რისკის დონეს.

მონიტორინგის პროცედურები და მოქმედების ფასი საკონტროლო მინიჭებულებების მიზანის შემთხვევაში

აღებული საბაზრო რისკის დონის მონიტორინგი ხორციელდება სალიმიტო სისტემის მეშვეობით. ბანკის სავაჭრო წიგნის საბაზრო რისკის სალიმიტო სისტემას ბანკი იყენებს ამგვარი პორტფელის არსებობის შემთხვევაში სათაო ბანკთან შეთანხმებით.

საპროცენტო რისკის დასაფარად საჭირო კაპიტალის დაწესებული ლიმიტის კონტროლს ახორციელებს რისკების ქვედანაყოფი. საკონტროლო მნიშვნელობის/ მისი დარღვევის პროგნოზის შემთხვევაში ბანკის მიერ ხორციელდება ქმედებები საპროცენტო განაკვეთის რისკის შემცირების მიზნით.

საბაზრო რისკის მაჩვენებლების კონტროლისათვის გარდა ლიმიტები წესდება სასიგნალო მნიშვნელობები, როგორიცაა ტრიგერები, რომლებიც მიანიშნებენ ლიმიტების გამოყენების მაქსიმალური დონის მოახლოებას, რაც არის საკმარისი სიგნალი ბანკის მიერ შესაბამისი მოქმედებების ჩასატარებლად.

ბანკის ქვედანაყოფები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საბაზრო რისკების მართვაზე, ვალდებული არიან გაატარონ შესაბამისი ლონისძიებები ლიმიტების დასაცავად. ბანკის სავაჭრო ოპერაციების ლიმიტების დაცვის შემდგომი კონტროლი ხორციელდება რისკის მართვის/ხაზინის ქვედანაყოფების მიერ ყოველი სამუშაო დღის ბოლოს, სავაჭრო ოპერაციების პარამეტრების მიმართ განხორციელებული ოპერაციების დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფის მიზნით.

რისკის მიზანით შედა ანგარიშგება

ბანკის საბაზრო რისკების მდგომარეობის შესახებ ანგარიშებს ამზადებს რისკების მართვის ქვედანაყოფი და ხაზინა იმ პერიოდულობით, რომელიც განსაზღვრულია ბანკის მარეგულირებელ და მეთოდურ დოკუმენტებში. აღნიშნული ანგარიშგებების შემადგენლობაში შედის მონაცემები საბაზრო რისკის ლიმიტების გამოყენებაზე, ლიმიტების ათვისებისა და გადაჭარბებაზე და სხვა რელევანტური მონაცემები.

9.6 ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის ბანკის მიერ საკუთარი ვალდებულებების სრულად და/ან დროულად შესრულების შეუძლებლობის გამო ზარალის წარმოქმნის რისკი.

ლიკვიდობის რისკის მართვა წარმოადგენს ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის ლონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია ბანკის მიმდინარე გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად ლიკვიდობის რისკის დონისა და ოპერაციების რენტაბელობის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფის პირობებში.

რისკის მართვის სფეროში კოლეგიალური ორგანოებისა და ქვედანაყოფების ფუნქციები ლიკვიდობის მართვის პროცესში ბანკის კოლეგიალური ორგანოებსა და სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ფუნქციები და მოვალეობები შემდეგნაირად ნაწილდება:

ბანკის დირექტორატი:

ამტკიცებს მარეგულირებელ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს ლიკვიდობის რისკის მართვის ნაწილში.

აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტი:

- ადგენს ლიკვიდობის შიდა ნორმატივებს და აკონტროლებს მათ შესრულებას, იღებს გადაწყვეტილებებს ბანკის აქტივებისა და პასივების მართვასთან დაკავშირებით, განსაზღვრავს ლიკვიდური აქტივების მობილიზაციის ზომებს ლიკვიდობის კრიზისული სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში.

ხაზინა:

- ახორციელებს შესრულების ვადების მიხედვით სამომავლო გადახდებისა და შემოდინებების ჭრილში ბანკის „ნოსტრო“ ანგარიშების პოზიციების გაძლოლას და მასზე არსებული ნაშთების რეგულირებას, სხვა აქტიური ოპერაციების წარმოებას, ადგენს აქტიური ოპერაციების დაფინანსების პროცედურებს ფულადი სახსრების ნაკადების რეგულირებისა და განაწილების მიზნით, შეიმუშავებს ბანკის ლიკვიდური აქტივების მოპილიზაციის ღონისძიებათა გეგმას ლიკვიდობის კრიზისის წარმოქმნის შემთხვევაში.

რისკების ქვედანაყოფი:

- შეიმუშავებს ლიკვიდობის რისკის მართვის შესახებ დებულებას, რისკის შეფასების მეთოდოლოგიას და წარადგენს დასამტკიცებლად დირექტორატის სხდომაზე;
- ამზადებს ანგარიშს ბანკის ლიკვიდობის პროგნოზული მდგომარეობის და მისი ცვლილების სხვადასხვა სცენარის შესახებ ლიკვიდობის რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად;
- ამზადებს წინადადებებს აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტისათვის ბანკის ლიკვიდობის შიდა ნორმატივების დასადგენად;

ანგარიშების ქვედანაყოფი:

- ამზადებს და წარადგენს ბანკის ლიკვიდობის ყველა სახის მარეგულირებელ ანგარიშგებას ეროვნული რეგულატორის მოთხოვნათა შესაბამისად;

ლიკვიდობის რისკის გართვის პროცედურა

ლიკვიდობის რისკის გამოვლენისა და მონიტორინგის პროცედურა, რომლითაც ხელმძღვანელობენ ლიკვიდობის მართვაში ჩართული ბანკის ქვედანაყოფები, მოიცავს ბანკის ლიკვიდობის მდგომარეობის პროგნოზირებას და სიტუაციურ მოდელირებას, სხვადასხვა სცენარების ანალიზის გათვალისწინებით გაანგარიშებული ბანკის ლიკვიდობის პოზიციის მონიტორინგს, შემოდინების და გადინების მოცულობებს შორის შეუსაბამობის გამოვლენის მიზნით, ბანკის ლიკვიდობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე საკვანძო შიდა და გარე ფაქტორების განსაზღვრას და მონიტორინგს, სახაზინო პორტფელში შემაგალი ფასიანი ქაღალდების ხარისხზე მოთხოვნების ფორმირებას, სებ-ის მიერ დადგენილი ბანკის საშუალო ლიკვიდობის (Liquidity Average Ratio) და ლიკვიდობის გადაფარვის (Liquidity Coverage Ratio) კოეფიციენტების შესრულების კონტროლს, აქტივებისა და/ან პასივების მართვის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებას და რეალიზაციას, ბანკის მიმდინარე და პროგნოზული ლიკვიდობის მდგომარეობის ამსახველი შიდა ანგარიშგების ფორმირებას.

ლიკვიდობის რისკის შეზღუდვისათვის დგინდება ნორმატივები/ლიმიტები ლიკვიდობის უკმარისობის და ჭარბი ლიკვიდობის რისკისთვის, ასევე კონცენტრაციის რისკისთვის. ლიკვიდობის რისკის რაოდენობრივი შეფასება ხორციელდება ლიკვიდობის რისკის შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ლიკვიდობის რისკის შეფასების შედეგები გამოიყენება კლიენტების დავალებით მიმდინარე გადახდების განსახორციელებლად და აღებული ვალდებულებების შესასრულებლად ფულადი სახსრების საკმარისობის კონტროლისათვის; აგრეთვე ბანკის აქტივების პორტფელის გეგმური ზრდის შესაძლებლობის განსაზღვრისათვის.

9.7 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის ბანკის ზარალის რისკი, რომელიც ადგილი აქვს არაადეკვატური ან უუნარო შიდა პროცესების და სისტემების, პერსონალის მიერ მათი დარღვევების ან გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

მოცემული განმარტება მოიცავს სამართლებრივ რისკს, მაგრამ გამორიცხავს სტრატეგიულ და რეპუტაციის რისკებს.

საოპერაციო რისკების მართვის საქმეში ბანკი ხელმძღვანელობს სებ-ის დებულებით „კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ“, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის

კომიტეტის მიერ საოპერაციო რისკების მართვის სფეროში მიღებული დოკუმენტების, ასევე ვეტებე ბანკის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მარეგულირებელი და მეთოდოლოგიური დოკუმენტებით.

ბანკი საოპერაციო საქმიანობას წარმართავს საოპერაციო რისკების მართვის დებულების, საოპერაციო რისკების შეფასების წესის შესახებ დებულების, საოპერაციო რისკისა და შესაბამისობის რისკების მაჩვენებლებზე მონაცემების შეკრებისა და საოპერაციო რისკის ანგარიშების ფორმირების წესის შესახებ ინსტრუქციის, ბანკის ბიზნესის უწყვეტობის პოლიტიკისა (დებულების) და ბიზნესის უწყვეტობის გეგმის ჩარჩო დოკუმენტების შესაბამისად.

საოპერაციო რისკი ახასიათებს ყველა პროდუქტს, საქმიანობის მიმართულებას, პროცესებს და სისტემებს და ამიტომ საოპერაციო რისკის ეფექტური მართვა წარმოადგენს ბანკის საოპერაციო რისკების მართვის პროგრამის ერთ-ერთ ფუნდამენტურ შემადგენელს.

საოპერაციო რისკების მართვის ორგანიზაციული სისტემა

საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა და კონტროლი ხელს უწყობს ბანკის ბიზნეს—მიზნების მიღწევას. საოპერაციო რისკის მართვის სისტემა აუცილებელია ზარალის აცილებისა და მინიმიზაციისათვის, რომელიც შეიძლება მიადგეს ბანკს საოპერაციო რისკის რეალიზაციის შედეგად.

საოპერაციო რისკის მართვაში ბანკის მიზნებს წარმოადგენს:

- საოპერაციო რისკის მისაღები დონის გამოვლენა, შეფასება და განსაზღვრა;
- საოპერაციო რისკის მისაღები დონის მხარდასაჭერად დროული ზომების რეალიზაციის უზრუნველყოფა;
- საოპერაციო რისკის მოვლენების რეალიზაციიდან ბანკის ფინანსური შედეგების წარმოქმნის ალბათობის შემცირება;
- საოპერაციო რისკის მართვის ეფექტურობაზე კონტროლი;
- ბანკის უსაფრთხოების, საიმედოობის, კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ბანკში გამოყენებული სისტემების, პროცესებისა და ტექნოლოგიების სრულყოფა;
- კანონმდებლობასთან და რეგულატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (მათ შორის საოპერაციო რისკის მიხედვით კაპიტალის ადეკვატურობის მიხედვით).

საოპერაციო რისკის მიზნებიდან გამომდინარე ბანკი წყვეტს ისეთ ამოცანებს, როგორიცაა საოპერაციო რისკის დონის თაობაზე ოპერატიული და ობიექტური ინფორმაციის მიღება; საოპერაციო რისკის დონის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება (გაზომვა); ბანკის საოპერაციო რისკის ანალიზი და შეფასება პროდუქტების, პროცესებისა და სისტემების დონეზე; საოპერაციო რისკის მართვის სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც პასუხობს ნორმატიულ და საკანონმდებლო მოთხოვნებს საოპერაციო რისკის მართვისა და კონტროლის სფეროში და რისკის მოვლენების რეალიზაციის შედეგების მინიმიზაციას. ზემოაღნიშნული მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციით მიღწევა საოპერაციო რისკის რეალიზაციის შედეგების მინიმიზაცია და საოპერაციო რისკის გამოწვეული ფინანსური შედეგების ოდენობის შემცირება; საოპერაციო რისკის ადრეული გამოვლენა ბანკის პროდუქტების, პროცესებისა და სისტემების დონეზე; საოპერაციო რისკის წარმოქმნის ალბათობის შემცირება სამომავლოდ ბანკის ძირითადი საქმიანობის მიმართულებების მიხედვით; საოპერაციო რისკის ქვეშ კაპიტალის გაანგარიშებისათვის მოწინავე მიდგომების გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

რისკების მაჩვენებლებზე მონაცემების შეკრებისა და საოპერაციო რისკის ანგარიშგების ფორმირების ცენტრი

რისკების მაჩვენებლებზე მონაცემების შეკრებისა და საოპერაციო რისკის ანგარიშების ფორმირების წესი რეგულირდება შესაბამისი ინსტრუქციის შესაბამისად.

რისკის მოვლენის შესახებ მონაცემების შეკრების პროცესის ძირითადი ეტაპებია: რისკის მოვლენის გამოვლენა (იდენტიფიცირება), კლასიფიკაციის ჩატარება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით, რისკის მოვლენის წარმოქმნის მიზეზების ანალიზი და შედეგების შეფასება; რისკის მოვლენის და მასთან დაკავშირებული შედეგების რეგისტრაცია, რედაქტირება და შეთანხმება, გამოვლენილი რისკის მოვლენის შესახებ მონაცემების აქტუალიზაცია; რისკის მოვლენის შედეგების დარეგულირების ღონისძიებათა გეგმების შემუშავება და მომავალში რისკის მოვლენის წარმოქმნის რისკის შემცირება.

რისკის მოვლენის იდენტიფიცირებისათვის გამოიყენება ბანკის ხელთ არსებული ყველა წყარო (საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები, ბანკის მუშაკების მოხსენებითი ბარათები, ცნობები და სხვა), რომლის საფუძველზე განისაზღვრება რისკის მოვლენის რეგისტრაციის, კლასიფიკაციისა და ფინანსური შედეგებზე რეაგირების მიდგომები და ფორმები.

რისკის მოვლენის და მასთან დაკავშირებული შედეგების შესახებ ინფორმაციის შეკრება ბანკში ხორციელდება მუდმივად და მოიცავს საქმიანობის ყველა მიმართულებას, ოპერაციას, პროცესს და ბანკის ცალკეულ პროდუქტებს.

რისკის მოვლენის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირდება სპეციალურ პროგრამულ მოდულში, რომელიც შექმნილია და ფუნქციონირებს ჯგუფის საოპერაციო რისკების ავტომატიზებული სისტემის ფარგლებში SAS eGRC პლატფორმის ბაზაზე.

რისკის აღებასთან დაკავშირებული განკის თრგანოებისა და სტრუქტურული

ევალაყოფების აასების მეთოდოლოგია და უფლებამოსილებები

საოპერაციო რისკის ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად საოპერაციო რისკების მართვის პროცესის მონაწილეთა ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნაწილდება დაცვის სამი ხაზის შესაბამისად:

- **დაცვის პირველ ხაზს წარმოადგენენ** ბანკის ქვედანაყოფები, რომლებსაც საქმიანობის პროცესში შეუძლიათ წარმოქმნან საოპერაციო რისკები, არიან საოპერაციო რისკის მფლობელები, პასუხს აგებენ საოპერაციო რისკების ყოველდღიურ მართაზე (გამოვლენა ყოველდღიურ საქმიანობაში, კლასიფიკაცია, შეფასება, მინიმიზაციის ღონისძიებების დაგეგმვა, საოპერაციო რისკების მართვისა და კონტროლის კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა);
- **დაცვის მეორე ხაზი ახორციელებს** ბანკის ქვედანაყოფების დამოუკიდებელ შეფასებას, დაცვის პირველი ხაზის მიმოხილვას და შემოწმებას (მოწმდება დაცვის პირველი ხაზის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე და შესაბამისობა), ახორციელებს მაკომდინირებელ როლს საოპერაციო რისკის მართვის სფეროში ერთიანი, შეთანხმებული პროგრამის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღებაში. დაცვის მეორე ხაზი შედგება: რისკების მართვის ქვედანაყოფისა და ბანკის მმართველობითი ორგანოსაგან;
- **დაცვის მესამე ხაზს** წარმოადგენს აუდიტი. ბანკის შიდა აუდიტი აკონტროლებს საოპერაციო რისკის მართვის საერთო პროცესების ეფექტურობას და შესაბამისობას შეფასების დამოუკიდებელი ფუნქციის შესასრულებლად.

შიდა აუდიტი ახორციელებს კონტროლს:

- საოპერაციო რისკის მართვის პროცედურების დაცვაზე;
- ბანკის ხელმძღვანელობისა და მუშაკების მიერ განხორციელებული მოქმედებებისა და ოპერაციების შესაბამისობაზე, მოქმედი კანონმდებლობისა და ბანკის შიდა დოკუმენტების მოთხოვნებთან.

ბანკის უფლებამოსილი ორგანო (სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, აქტივ-პასივებისა და რისკების მართვის კომიტეტი), რომლის კომპეტენციის სფეროში შედის საოპერაციო რისკის რეგულირების სფეროში კონტროლი, კოორდინაცია და კონსულტაცია.

ბანკის რისკების მართვის ქვედანაყოფის ხელმძღვანელი/ რისკების დირექტორი საოპერაციო რისკის მართვის ნაწილში უზრუნველყოფს საოპერაციო რისკების მართვის სიტემის ეფექტურ

ტექნოლოგიური ინსტრუმენტების მეთოდოლოგიის, პროცედურების შემუშავებას; საოპერაციო რისკის მართვის ნაწილში სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაციას; ბანკის საოპერაციო რისკის შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების, კონტროლისა და ანალიზის სისტემის ორგანიზაციას; ბანკის საოპერაციო რისკის ანალიზს და შეფასებას და საოპერაციო რისკის თაობაზე შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას.

ბანკის ქვედანაყოფების ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ საოპერაციო რისკის თაობაზე მონაცემების წარდგენის ნამდვილობის, სისრულესა და დროულობის, ასევე საოპერაციო რისკის მინიმიზაციის ღონისძიებების რეალიზაციის კონტროლს, უზრუნველყოფენ საოპერაციო რისკის მართვის თაობაზე მიღებული ზომების ეფექტურობას და ბანკის ქვედანაყოფების საქმიანობის უწყვეტობის გეგმის აქტუალურ მდგომარეობაში მხარდაჭერის კონტროლს.

რისკის შეფასების, კაპიტალზე მოთხოვნისა და სტრეს-ტესტირების მეთოდები

ბანკში გამოიყენება საოპერაციო რისკის შეფასების / გაზომვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინსტრუმენტები. ბანკში საოპერაციო რისკის გამოვლენისა და შეფასების ძირითად მეთოდებს წარმოადგენს:

საოპერაციო რისკის მოვლენების/ შემთხვევების შესახებ ცნობების შეკრება - მნიშვნელოვანი და აუცილებელი ინფორმაციის კონსოლიდაციის პროცედურა საოპერაციო რისკის მოვლენების გავლენისა და მატერიალიზებული საოპერაციო რისკის მიმართ საკონტროლო პროცედურების ეფექტურობის შესაფასებლად;

საოპერაციო რისკის ძირითადი ინდიკატორების (KRI) მონიტორინგი - წარმოადგენს მაჩვენებლებს ან სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც წარმოადგენენ ინფორმაციას საოპერაციო რისკის დაკავშირებულ შესაძლო დანაკარგებზე და გამოიყენება საოპერაციო რისკის შესაძლო დანაკარგებთან დაკავშირებული ცალკეული სფეროების მონიტორინგისათვის;

საოპერაციო რისკის თვითშეფასება - ბანკის ქვედანაყოფების მუშაკთა მიერ თავიანთი პროცესებისა და საქმიანობის სახეების ექსპერტული შეფასება შესაძლო პოტენციური მოწყვლადობის თვალსაზრისით, სხვადასხვა სახის საოპერაციო რისკის მიმართ არსებითობის პარამეტრის, საოპერაციო რისკის რეალიზაციის ალბათობის, საკონტროლო პროცედურების ეფექტურობის გათვალისწინებით;

საოპერაციო რისკის სცენარული ანალიზი - საოპერაციო რისკების პოტენციური მოვლენების ექსპერტული შეფასება, რომლის დადგომის ალბათობაც დაბალია, მაგრამ შეიძლება მიგვიყვანოს ბანკისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ შედეგამდე. ამ მიზნით, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მიდგომები და სხვადასხვა სცენარები (მათ შორის სტრეს- სცენარი). ხორციელდება საოპერაციო რისკის მოვლენების მიხედვით მათი ალბათობის, სიმძიმისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის სისტემატური შეფასება.

რისკის შეზღუდვისა და შეაცირების მეთოდები

საოპერაციო რისკის დონის კონტროლის მიზნით ბანკში გამოიყენება შემდეგი ძირითადი მიდგომები, როგორიცაა ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის განაწილება, უფლებამოსილებათა ლიმიტირება, გადაწყვეტილებების კოლეგიალურად მიღება, ორმაგი კონტროლის მექანიზმების პრინციპების გამოყენება; ინფორმაციული უსაფრთხოების ფარგლებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, ინფორმაციის მრავალდონიანი დაცვის გამოყენება; მატერიალურ აქტივებთან დაშვების შეზღუდვა; აუთსირსიგი; სხვა რელევანტური ღონისძიებების გატარება.

საოპერაციო რისკებზე რეაგირება საფინანსო და არასაფინანსო შედეგების ზემოქმედების ოპტიმიზაციის ფარგლებში, გულისხმობს: **რისკის მინიმიზაცია** გამოვლენილი რისკის დონის დასაშვებ დონემდე დაყვანა, საკონტროლო პროცედურების შემოღება, KRI შექმნა, სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების რეალიზაცია; **რისკის ალება** გამოვლენილი რისკის

მისაღებობის აღიარება (არაკრიტიკული ბანკისათვის); **რისკის აცილება (უვნებელყოფა)** უარის თქმა ოპერაციებისა და ბიზნეს-პროცესების ჩატარებაზე, სადაც საოპერაციო რისკის გამოვლინდა; **რისკის გადაცემა (რისკის დაზღვევა)** საოპერაციო რისკის საქმიანობათა დაზღვევა.

რისკის შეფასების მეთოდების ეფექტურობის უზრუნველყოფა

საოპერაციო რისკის მართვის ეფექტურობის უზრუნველყოფისათვის ხორციელდება შემდეგი ლონისძიებები:

- საოპერაციო რისკის მართვის მიდგომებისა და მეთოდების განვითარების სტრატეგიული ამოცანების რეგულარული გადასინჯვა;
- საოპერაციო რისკის რეგულარული ანგარიშების მომზადება;
- საოპერაციო რისკის შეფასების მეთოდების შემუშავება (აქტუალიზება);
- საოპერაციო რისკის შეფასებისა და ანალიზის განხორციელება პროცესების, პროდუქტების, სისტემების დონეზე და საოპერაციო რისკის მინიმიზაციის ლონისძიებების დაგეგმვა;
- საოპერაციო რისკის ნაწილში რისკ-აპეტიტის მაჩვენებლების კონტროლი.

რისკ—აპეტიტი

საოპერაციო რისკის ნაწილში რისკ—აპეტიტი შეიძლება განსაზღვრული იქნას როგორც დანაკარგების ოდენობა, რომელიც ბანკი მზად არის მიიღოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის მქონე განსაზღვრული სტრატეგიისა და ძირითადი ფაქტორების შესაბამისად.

რისკ—აპეტიტის საკონტროლო მნიშვნელობები და მაჩვენებლების გაანგარიშების პრინციპები მუშავდება ჯგუფის დონეზე და შემდეგ ალოცირდება ბანკზე. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს საოპერაციო რისკის საკონტროლო მაჩვენებლებს რისკ-აპეტიტის ერთიანი მაჩვენებლების ფარგლებში რისკ-აპეტიტის დებულების დოკუმენტის სახით.

სცენარული ანალიზი

სცენარული ანალიზი მოიცავს რისკის მოვლენების სცენარების იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიონ ბანკის საქმიანობასა და ფინანსურ შედეგებზე. სცენარული ანალიზი ტარდება ჯგუფის სავალდებულო სცენარებით, რომლებიც შემუშავებულია სათაო ბანკის მიერ და დამტკიცებულია ჯგუფის საკრედიტო რისკების მართვის კომიტეტის მიერ. დაშვებულია სცენარული ანალიზის ჩატარება ბანკის დონეზე შემუშავებული ლოკალური სცენარებით.

სცენარული ანალიზის მიზანია გამოავლინოს ბანკის საოპერაციო რისკის მიმართ პოტენციური დაქვემდებარების დონე, მოსალოდნელი ზარალის (შედეგების) ხდომილების ალბათობის შეფასება.

სცენარული ანალიზის შედეგად მუშავდება ანგარიში და ეგზავნება ბანკის მენეჯმენტს, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს. მთლიანი ანალიზი იგზავნება სათაო ბანკში.

საოპერაციო რისკის შესახებ ანგარიშგახა

საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშება წარმოადგენს საოპერაციო რისკების მართვის პროცესის შემადგენელ ნაწილს და უზრუნველყოფს შესაბამისი მმართველი ორგანოების მუდმივ და თავისიდროულ ინფორმირებას გადაწყვეტილებების მისაღებად. ამ შემთხვევაში საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშება უზრუნველყოფს რისკის გამჭირვალობას და საოპერაციო რისკების მართვას აქცევს ყოველდღიურ უწყვეტ პროცესად.

საოპერაციო რისკების თაობაზე ბანკი ახდენს სებ-ის ყოველთვიურ ინფორმირებას დადგენილი ფორმითა და წესით. გარდა ამისა, ყოველწლიურად ხდება წლის მანძილზე რეალიზებული დანაკარგების დაზუსტება ბიზნესის, საოპერაციო რისკის კატეგორიების მიხედვით. საოპერაციო რისკების შესახებ შიდა ანგარიშგება წარმოებს რისკების შესახებ ბანკის რეგულარული ანგარიშგების ფარგლებში, ასევე ვეტერ-ს ჯგუფის წინაშე ანგარიშგების ფორმით და ვადებში, შიდა ნორმატიულ-მეთოდოლოგიური დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად.

პიზენს უცყვეტობის გეგმა (BCP)

ბანკს გააჩნია თავისი მასშტაბის შესაბამისი ფორმალიზებული ბიზნეს უწყვეტობის გეგმა რომელიც შედგება ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკისა და კრიზისის მართვის ინსტრუქციისგან.

ბიზნეს უწყვეტობის მართვა მოიცავს სტანდარტებისა და პროცედურების ერთობლიობას რომელიც მიმართულია საბანკო ბიზნეს პროცესების შენარჩუნების, მათი დროული აღდგენის და უმოკლეს ვადებში აღნიშნული პროცესების ჩვეულ რეჟიმში დაბრუნებისკენ, რათა მინიმუმადე იქნეს დაყვანილი მატერილური ზარალი, თავიდან იქნეს აცილებული როგორც ბაზრის წილის დაკარგვის, ბიზნესის დაკარგვის, რეპუტაციის შელახვის და სამართლებრივი პასუხისმგებლობების რისკები.

ბანკის ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველყოფის ძირითადი ამოცანას წარმოადგენს ბანკის ბიზნესის უწყვეტობის მართვის ღონისძიებების ორგანიზაცია და განხორციელება ბანკის ბიზნესის უწყვეტობისა და აღდგენის უზრუნველყოფის გარანტიის მიზნით, არასტანდარტული ან საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შედეგად, რომელიც შეუძლებელს ხდის ძირითადი ფუნქციების შესრულებას.

ბანკის BCP გეგმის მიზანია არასტანდარტული ან საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის შემთხვევაში ბანკის ქვედანაყოფების /მუშაკების ურთიერთმოქმედების მკაფიო საერთო წესის, ქვედანაყოფების კრიტიკული სახეების აღდგენისა და ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმი დაბრუნების მოქმედებათა წესის განსაზღვრა.

ბანკი განსაზღვრავს არასტანდარტული და საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის სცენარების ჩამონათვალს და აღწერას, და მათთან დაკავშირებული ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმის დარღვევის ფაქტორებს, რომელთა მიმართ რეაგირება ხორციელდება ბიზნესის უწყვეტობის მართვის ფარგლებში.

BCP გეგმის ფარგლებში ტარდება სისტემების, პროცესების ტესტირებები, რომელთა მიზანია საქმიანობის კრიტიკული სახეების აღდგენა შესაბამისი სცენარების გამოყენებით. ტესტირების ეტაპზე ხდება იმის დადასტურება, რომ საქმიანობის კრიტიკული სახეები შეიძლება აღდგენილ იქნას და ფუნქციონირებდეს შესაბამისი სქემის შესაბამისად.

9.8 შესაბამისობის რისკი

შესაბამისობის რისკის მართვა მოიცავს საკანონმდებლო და საზედამხედველო სანქციების, ფინანსური დანაკარგების, ან ბანკის რეპუტაციის დაკარგვის რისკის მართვას, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს კანონმდებლობის, წესებისა და სტანდარტების შეუსრულებლობამ. შესაბამისობის რისკი საბანკო რისკების განუყოფელი ნაწილია, როგორიცაა, მაგალითად, კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნასთან, შემოსავლიანი აქტივების ხარისხთან, აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზისურების და დაკრედიტების ლიმიტებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი, საერთო ღია სავალუტო პოზიციისთვის დამახასიათებელი საბაზრო რისკი, წლიური სამუშაო გეგმისთვის და ბანკის ბიუჯეტისათვის დამახასიათებელი სტრატეგიული რისკი და კონკრეტულ დებულებებთან დაკავშირებული სხვა რისკები.

შესაბამისობის რისკის მართვას და შესაბამისობის სისტემის აგებას ახორციელებს ბანკის სტრუქტურული ერთეული - შესაბამისობის კონტროლის განყოფილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ვეტებე ჯვეფის რეკომენდაციების გათვალისწინებით. შესაბამისობის სტრუქტურული ქვედანაყოფი დამოუკიდებელია ბანკის წებისმიერი სხვა სტრუქტურისგან. შესაბამისობის სტრუქტურის საქმიანობას ბანკში არეგულირებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „შესაბამისობის პოლიტიკა“ და დირექტორატის მიერ დამტკიცებული „შესაბამისობის რისკების მართვის შესახებ“ დებულება და შესაბამისობის რისკების შეფასების წესი“.

ბანკში შესაბამისობის სისტემის ეფექტური ფუნქციონირების ძირითადი პრინციპებია:

- დამოუკიდებლობის პრინციპი — შესაბამისობის დამოუკიდებელი სტრუქტურული ქვედანაყოფის არსებობა, რომელიც პასუხს ავებს ბანკში შესაბამისობის რისკების მართვის კოორდინაციაზე;
- რესურსების ადეკვატურობის პრინციპი — შესაბამისობის სისტემის უზრუნველყოფა საკმარისი და შესაბამისი რესურსებით, მისი ეფექტური ფუნქციონირებისთვის.

შესაბამისობის რისკების მართვა

შესაბამისობის რისკების მართვის მიზნით, შესაბამისობის კონტროლის განყოფილება ახდენს:

- პოტენციური და რეალიზებული შესაბამისობის რისკების იდენტიფიცირებას;
- შესაბამისობის რისკების კლასიფიცირებას და შეფასებას;
- გამოვლენილი შესაბამისობის რისკების მართვის ღონისძიებების შემუშავებას და დანერგვას;
- გამოვლენილი შესაბამისობის რისკების შემცირებისკენ მიმართული ზომების დანერგვისა და ეფექტურობის მონიტორინგს, მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას (აუცილებლობის შემთხვევაში).
- ბანკის მიერ ბაზარზე ქცევის სათანადო სტანდარტების (ეთიკის პრინციპების) დაცვას;
- ინტერესთა კონფლიქტების მართვას;
- ბანკის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად იკვლევს და აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გაზიარდოს შესაბამისობის რისკი და რაოდენობრივი გავლენა იქონიოს ბანკის მოგება-ზარალსა და კაპიტალზე.

„შესაბამისობის პოლიტიკა“ და „შესაბამისობის რისკების მართვის შესახებ“ დებულება განსაზღვრავს შესაბამისობის სისტემაში ჩართული მმართველობითი/კოლეგიალური ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციას.

შესაბამისობის რისკის მართვის სისტემის ორგანიზება

შესაბამისობის რისკის მართვის სისტემის ძირითადი ამოცანებია:

- შესაბამისობის რისკის ფაქტორების (წყაროების) იდენტიფიცირება;
- შესაბამისობის რისკის კონცენტრაციის დადგენა და რეგულირება ბანკის საქმიანობის, ოპერაციებისა და ქვედანაყოფების მიხედვით;
- შესაბამისობის რისკის რაოდენობრივი/ხარისხობრივი შეფასება, შესაბამისობის რისკის ბანკის ფინანსურ მდგრადობაზე და საქმიანობის შედეგებზე მოქმედების ანალიზი და კონტროლი.
- შესაბამისობის რისკის ნეიტრალიზაციის ან ღონის შემცირების მეთოდის შემუშავება, რეალიზება და ეფექტიანობის შეფასება;
- შესაბამისობის რისკის მონიტორინგი და კონტროლი, ბანკის მმართველობითი/კოლეგიალური ორგანოების და ქვედანაყოფების ინფორმირება შესაბამისობის რისკის მართვისა და კონტროლის აუცილებლობის შესახებ.

შესაბამისობის რისკების მეთოდოლოგიის შესაბამისად, განსაზღვრულია რისკის ფაქტორები და მათი დეფინიცია და კლასიფიკაცია. შესაბამისობის რისკების შესაფასებლად გამოიყენება მიდგომა, რომელიც გულისხმობს ორი ცვლადის კომბინაციას: რისკის შემთხვევის დადგომის ალბათობას და დანაკარგის ოდენობას.

შესაბამისობის რისკების მართვის ფარგლებში განისაზღვრება საქმიანობის ძირითადი ინდიკატორები (KRI).

შესაბამისობის რისკის მართვის მეთოდები:

- რისკის თავიდან აცილება იმ საქმიანობის შეწყვეტით, რომელიც გენერირებს რისკს, ამგვარი საქმიანობის შესასრულებლად გარე ორგანიზაციებისთვის გადაცემით (აუტსორსინგი).
- რისკის რეალიზაციის ალბათობის შემცირება შიდა კონტროლის დანერგვის/სრულყოფის მეშვეობით გზით.
- რისკის ზემოქმედების შემცირება რისკების დაზღვევის მეშვეობით და/ან დამატებითი/სარეზისტრო კაპიტალის ხარჯზე.
- ნარჩენი რისკების შენარჩუნება შესაძლო დანაკარგების დაფინანსების გზით, მ.შ. დამატებითი/სარეზისტრო კაპიტალის ხარჯზე.
- რისკის გარკვეული დონის მიღება, როგორც ბიზნეს პროცესის ბუნებრივი თანმდევი ნაწილისა.

შესაბამისობის რისკების მონიტორინგი და კონტროლი

შესაბამისობის რისკების მონიტორინგი მიზნად ისახავს შესაბამისობის რისკის მატარებელი დარღვევების (ნაკლოვანებების) აღმოფხვრას და შესაბამისობის რისკების მართვის მიზნით პასუხისმგებელი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ ყოვლისმომცველი და თავისდროული ზომების მიღებას.

შემოწმების შედეგების მიხედვით, რომელიც განხორციელებულია გარე და შიდა აუდიტის, საზედამხედველო ორგანოების, შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ, ბანკი განიხილავს მათი შენიშვნებს და რეკომენდაციებს და ადგენს მათი აღმოფხვრის გეგმებს და იღებს ზომებს სამომავლოდ მათი დაუშვებლობისათვის.

ბანკში დანერგილია ბანკის საქმიანობის/ბიზნეს მიმართულებების შესაბამისობის რისკების თვითშეფასების, ასევე პოტენციური/რეალიზებული რისკების შეფასების სისტემა. ხდება რისკის ნარმოქმნის ძირითადი ინდიკატორების განსაზღვრა და მათი ანალიზი შემდგომი პრევენციის მიზნით. ყოველკვარტლურად/ყოველწლიურად ხორციელდება შესაბამისობის რისკის დონის მონიტორინგი/მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა. მოქმედებს ანგარიშგების სისტემა.

9.9 რეალურაციის რისკი

რეპუტაციის რისკი არის რისკი, რომელსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებით უარყოფითი საჯარო განცხადებების გაკეთება ან ბანკის უარყოფითად ნარმოდგენა. რეპუტაციის რისკი ეფუძნება მუშაკების, კლიენტების, ზედამხედველებისა და საზოგადოების მხრიდან ბანკის ნდობას. ცალკეულ მოვლენებს შეუძლიათ შეარყიონ ბანკისადმი ნდობა და უარყოფითად იმოქმედოს მის საქმიანობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკისათვის მნიშვნელოვანია დაცული იყოს ამგვარი შემთხვევებისაგან.

რეალურაციის რისკის ფაქტორები

რეპუტაციის რისკის ფაქტორებია საკანონმდებლო და საზედამხედველო მოთხოვნების დაუცველობა, ბიზნეს-საქმიანობის გაძლიერების, პროფესიონალური ეთიკის ნორმების დაუცველობა, სახელშეკრულებო ვალდებულებების ხშირი დარღვევები, მართვის ეფექტური სისტემების უქონლობა, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებისა და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ ბანკის მიმართ დაბალი შეფასებები, საერთაშორისო სანქციებისა და შეზღუდვების არსებობა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტური საშუალებების უქონლობა, საბანკო რისკების მართვის ხარვეზები, ბანკის მიერ გადაჭარბებული რისკის შემცველი საქმიანობის განხორციელება, საოპერაციო რისკების მაღალი დონე, შიდა კონტროლის სისტემის ნაკლოვანებები და სხვა.

რეალურაციის რისკის მინიმიზაციის ხერხები

- შიდა მარეგულირებელი ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის მართვას ბანკი მუშაკებს და კლიენტებს, კონტაგენტებს შორის;

- საკანონმდებლო და საზედამხედველო ნორმებისა და მოთხოვნების დაცვაზე მუდმივი კონტროლი;
- რეპუტაციის რისკი ფაქტორების ბანკის საქმიანობაზე გავლენის მუდმივი ანალიზი;
- საქმიანობის იმ მიმართულებების მუდმივი ანალიზი და კონტროლი, რომელიც მერძნობიარეა კლიენტებთან, მთლიანად საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით;
- ფინანსური და სხვა სახის გამოქვეყნებული ინფორმაციის კონტროლი, რომელიც მიეწოდება აქციონერებს, კლიენტებს და ფართო საზოგადოებას, მათ შორის სარეკლამო თვალსაზრისით;
- ბანკის მუშაკების პროფესიონალიზმის მუდმივი ამაღლება.

პანკის ორგანოებისა და ქვედანაყოფების როლი და პასუხისმგებლობა

პანკის უფლებამოსილი ორგანო (სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი) უზრუნველყოფენ რეპუტაციის რისკის მართვის პროცედურების, მათ შორის რეპუტაციის რისკის კონტროლისა და კაპიტალზე გავლენის დაანგარიშების პოლიტიკების, რეპუტაციის რისკების მინიმიზაციის ღონისძიებების დამტკიცებას, რეპუტაციის რისკის მონიტორინგს და კონტროლს, მათ შორის იმ საქმიანობის მიმართულებების მიხედვით, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე.

პანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების როლი და პასუხისმგებლობა

ბანკის შესაბამისი პასუხისმგებელი ქვედანაყოფები უზრუნველყოფენ კლიენტურასა და სხვა დაინტერესებულ პირებისათვის კომპლექსური ინფორმაციის მინიჭების ორგანიზაციას, მონაცემთა შეკრებას, მის ანალიზს, რომელიც მოიცავს რეპუტაციის რისკის შემცველი მოვლენებს, წინადადებების მომზადებას მედიაში უარყოფითი სტატიების, საჯარო პუბლიკაციების და ნეგატიური ინფორმაციის გამოქვეყნებით წარმოქმნილი რეპუტაციის რისკის მინიმიზაციისათვის, ეფექტური მედია სტრატეგიის ფორმირებისა და მის მართვას, პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზაციას და წარმართვას, სხვა რეპუტაციის რისკის აცილებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

9.10 სტრატეგიული რისკი

სტრატეგიული რისკი არის რისკი, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის სტრატეგიის სუსტი დაგეგმვა და ცუდი განხორციელება, ბანკის სუსტი ბიზნეს გადაწყვეტილებები ან ბანკის მიერ რეაგირების არმოხდენა გარე ცვლილებებზე. სტრატეგიული რისკი ასევე არის ბანკის საქმიანობის შედეგების არახელსაყრელი ცვილების რისკი, ბანკის მართვის პროცესში მცდარი გადაწყვეტილებების მიღების შედეგად, მათ შორის განვითარების სტრატეგიის შემუშავების, დამტკიცებისა და რეალიზაციის დროს, მიღებული გადაწყვეტილებების არასათანადო შესრულება, ასევე გარე ფაქტორების ცვლილებების გაუთვალისწინებლობა.

სტრატეგიული რისკის ძირითადი მიზანია ბანკის მიერ აღებული რისკის იმ დონეზე მხარდაჭერა, რომელიც განსაზღვრულია დამტკიცებული სტრატეგიული ამოცანებით, ასევე აქტივებისა და კაპიტალის მაქსიმალურად დაცვა შესაძლო რისკების მინიმიზაციის (გამორიცხვის) საფუძველზე.

სტრატეგიული რისკის მართვა ბანკში ხორციელდება რეგულარულად, ბანკის მმართველი ორგანოების მიერ განვითარების სტრატეგიის, ბიზნეს-გეგმის ფორმირებისა და მათი გადასინჯვის დროს.

სტრატეგიული რისკის მართვის პრიცეპები

სტრატეგიული რისკის მართვის პრიციპები, რომლითაც ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს, არის ბანკის განვითარების სტრატეგიის შესაბამისობა ბანკის საქმიანობის ხასიათთან, მოცულობისა და ზომასთან, ბანკის განვითარების სტრატეგიის დებულებათა დეტალიზაცია

ბიზნეს დაგეგმვის ყოველწლიური პროცედურის ფარგლებში, სტრატეგიული რისკის მაჩვენებლების რაოდენობრივი მაჩვენებლებით შეფასების შესაძლებლობა, სტრატეგიული რისკის მაჩვენებლების მუდმივი მონიტორინგი და შესაბამისი ანგარიშება.

სტრატეგიული რისკის პრიციპების რაციონაციის გზები

სტრატეგიული რისკის პრიციპების რეალიზაციის გზებია: სტრატეგიული რისკის შეფასების სისტემა, რომლის მიზანია არ დაუშვას სტრატეგიული რისკის ბანკისათვის მისაღები დონეზე მეტად ზრდა, სტრატეგიული რისკის მართვის ფარგლებში უფლებამოსილებისა და გადაწყვეტილებების მიღების სისტემა - უფლებამოსილებების გადანაწილება მმართველობითი გადაწყვეტილებების დროულად და ადეკვატურად მისაღებად, სტრატეგიული რისკის ანგარიშების

სისტემა - სტრატეგიული რისკის დონის (ოდენობის) კონტროლის მიზნით, შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც მიზანად ისახავს ბანკის სტრატეგიული რისკების მართვის სისტემის საერთო ადეკვატურობის უზრუნველყოფას.

სტრატეგიული რისკის მართის ეტაპები, მათოდები

სტრატეგიული რისკის მართვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- სტრატეგიული რისკის გამოვლენა;
- სტრატეგიული რისკის შეფასება;
- სტრატეგიული რისკის მონიტორინგი;
- სტრატეგიული რისკის კონტროლი და/ან მინიმიზაცია.

ბანკის მიერ სტრატეგიული რისკის მართვის მეთოდებია:

- სტრატეგიული დაგეგმვა;
- ბიზნეს-დაგეგმვა;
- ზემოაღნიშნული გეგმების შესრულებაზე კონტროლი;
- საბაზრო გარემოს ცვლილების ანალიზი;
- გეგმების კორექტირებები.

სტრატეგიული რისკის მართვის პროცესების მონაცილეები და მათი ფუნქციები

სტრატეგიული რისკის ეფექტური მართვის უზრუნველყოფის მიზნით ბანკის მართვის ორგანოები ბანკის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების განხილვის დროს ახორციელებენ:

- სტრატეგიული რისკის კონტროლს, მონიტორინგს და მართვას ანალიტიკური, ფინანსური და სხვა ინფორმაციის საფუძველზე;
- ასპექტების ყოველმხრივი ანალიზი, რომელიც შეეხება როგორც გარემოს (პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ტენდენციები, ტექნოლოგიები, კონკურენცია), ასევე შიდა შესაძლებლობებს და რესურსებისადმი წვდომას, რომელიც აუცილებელია დასახული სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად.

ბანკის მართვის უფლებამოსილებებისა და ფუნქციების განაწილება სტრატეგიული რისკის მართვის ნაწილში, ასახულია დებულებები ამ ორგანოების შესახებ.

სტრატეგიული რისკის გამოვლენა და შეფასება

სტრატეგიული რისკის აღმოცენება შეიძლება განპირობებული იყოს შიდა (სტრატეგიული და განვითარების არასწორი მმართველობითი გადაწყვეტილებები, არასაკმარისი რესურსები, კორპორაციული მართვის ხარვეზები და სხვა) და გარე ფაქტორებით (საზედამხედველო და საკანონმდებლო ზეგავლენა, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული პროცესების ცვლილება, ბაზრის სეგმენტაცია და კონკურენტული პოზიციის ცვლილებები, სხვა რელევანტური ფაქტორები).

სტრატეგიული რისკის მონიტორინგი

სტრატეგიული რისკის მისაღები დონის მონიტორინგი ხორციელდება სისტემატიურად და გულისხმობს სტრატეგიული რისკის ფაქტორების, მეტრიკის გადასინჯვას, სტრატეგიული რისკის მართვის პროცესების ეფექტურობის ამაღლებას.

სტრატეგიული რისკის მონიტორინგში იგულისხმება ბანკის მიზნებისა და მიზნობრივი საფინანსო პარამეტრების მიღწევის მონიტორინგი და კონტროლი, გარემო პირობების მონიტორინგი, შიდა მდგომარეობის მონიტორინგი, სტრატეგიული რისკის საერთო დონის მონიტორინგი.

სტრატეგიული რისკის მინიმიზაცია და აცილება

სტრატეგიული რისკის შემცირების ღონისძიებების ჩამონათვალში შედის ბანკის განვითარების სტრატეგიისა და საფინანსო წლის ბიზნეს გეგმის არსებობა, ბიზნეს გეგმის განხორციელების კონტროლი, ბანკის განვითარების სტრატეგიის, ასევე ფისკალური წლის ბიზნეს გეგმის შესრულების სისტემატური ანალიზი და სხვა.

სტრატეგიული რისკის მინიმიზაციის ღონისძიებები მოიცავს უფლებამოსილებათა გამიჯვნას, ბანკის კორპორატიული მართვის ხარისხის გაუმჯობესებას, ბანკის რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად რისკ-აპეტიტის დონის კონტროლს, უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლს, ძირითადი საბანკო ოპერაციებისა და გარიგებათა სტანდარტიზაციას, სტრატეგიული რისკის ფაქტორების გავლენის ანალიზს, სტრატეგიული რისკის შემცველი საქმიანობის იდენტიფიცირებას და ანალიზს, ბანკის მუშაკების პროფესიული უნარების უწყვეტი გაუმჯობესებას და შესაბამის ღონისძიებათა სისტემის დანერგვა-განვითარებას.

სტრატეგიული რისკის შიდა კონტროლი

სტრატეგიული რისკის მართვის კონტროლი მოიცავს:

- შესაბამისი მმართველობითი ორგანოების, სტრუქტურული ქვედანაყოფების მხრიდან მათ კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი საკონტროლო ფუნქციების განხორციელებას;
- შიდა აუდიტის ქვედანაყოფის მიერ ბანკის საქმიანობის შემოწმებას სტრატეგიული რისკის საკითხებზე.

შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაციის წარდგენა, განხილვა და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება ბანკში ხორციელდება ბანკში მოქმედი წესების შესაბამისად.

9.11 სხვა რისკები

ბანკი აცნობიერებს, რომ გარდა ძირითადი რისკებისა, იგი ექვემდებარება სხვა რისკების ზემოქმედებას, როგორიცაა არასაბანკო რისკები (მაგალითად, სადაზღვევო რისკი) და სხვა, რომელთა გათვალისწინებას იგი ახდენს ბანკის საქმიანობის განხორციელების პროცესში. არაძირითადი რისკების წერილობითი ფორმით დოკუმენტირებას ბანკი არ ახდენს.

9.12 სტრატეგიული სტრატეგია

სტრატეგიული სტრატეგია ანუ კრიზისის სიმულაცია წარმოადგენს შესაძლო გაუთვალისწინებელი ვითარების ბანკზე მთლიანად და შესაბამის საქმიანობაზე ცალ-ცალკე გავლენის შეფასების საშუალებას. იგი გამოიყენება, რათა ბანკმა

შეძლოს სათანადოდ შეაფასოს და მართოს რისკები, შეაფასოს მისი კაპიტალის ადეკვატურობა და საჭიროების შემთხვევაში, შექმნას კაპიტალის ადეკვატურობის შესანარჩუნებლად საკმარისი ბუფერი.

აქედან გამომდინარე, სტრეს-ტესტირება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ბანკის მდგრადობის, მისი რისკ-პროფილის შესაფასებლად.

ბანკის რისკებისა და კაპიტალის სტრეს-ტესტირებას ახდენს სებ-ის და საკუთარი ტესტირების პროგრამის ფარგლებში.

საკრედიტო პორტფელის სტრეს-ტესტები, რომელიც ხორციელდება სებ-ის პარამეტრების საფუძველზე, გადის შემოწმებას ეროვნული ბანკის მიერ.

ძირითადი რისკების მიხედვით ბანკს შემუშავებული აქვს შიდა სტრეს-ტესტები, რომლებიც ფუნქციონირებენ შესაბამისი რისკების მეთოდოლოგიების ფარგლებში, რომელთა შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცალკეული რისკების აღწერებში.

9.13 მიზანმიზნის საშუალებები

საკრედიტო რისკის დონის შესამცირებლად ბანკი იყენებს უზრუნველყოფის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა გირაო, იპოთეკა და მესამე პირის გარანტია.

ბანკის უზრუნველყოფის სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ:

გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული აზრივები (მლn. ლარი)				
	2018 მოცულობა	2018 წილი %	2017 მოცულობა	2017 წილი %
ფულადი სახსრები	67.0	1.6%	116.3	3.6%
ძვირფასი ლითონები და ქვები	18.1	0.4%	17.9	0.6%
უძრავი ქონება	3,149.4	75.2%	2,661.1	81.8%
მოძრავი ქონება	318.8	7.6%	266.1	8.2%
წილის გირავნობა	498.2	11.9%	69.1	2.1%
ფასიანი ქაღალდები	55.6	1.3%	45.6	1.4%
სხვა	79.3	1.9%	76.4	2.3%
სულ	4,186.4	100.00%	3,252.5	100.0%

კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. ბანკი ადგენს პრინციპებს უზრუნველყოფის მისაღები სახეებისა და შეფასების პარამეტრების მიმართ. როგორც წესი, კრედიტის დამტკიცების პროცესში ბანკის მიერ ხდება ლიკვიდობის მქონე ერთი ან რამდენიმე უზრუნველყოფის მოთხოვნა. მოთხოვნილი უზრუნველყოფის მიმართ მიდგომები დამოკიდებულია კლიენტზე, პროდუქტზე და ბიზნეს-სტრატეგიაზე. მინიმალური სტანდარტების ბანკისათვის მისაღები უზრუნველყოფის ტიპებისა და მათი შეფასების მიდგომებს განსაზღვრავს ბანკის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

პოლიტიკის ფარგლებში განისაზღვრება რისკის მიტიგირებისათვის მისაღები ტიპების სახეები და შეფასების კრიტერიუმები. უზრუნველყოფის საგნის მიმართ მოთხოვნები ყალიბდება შემდეგი ფაქტორების მიხედვით, როგორიცაა უზრუნველყოფის სტრუქტურა, ხარისხი, საბაზრო ღირებულება და ლიკვიდობა.

ბანკი ახდენს კრედიტის უზრუნველყოფის მისაღები სახეების ჩამონათვალის პერიოდულ გადასიჯვას. იმ შემთხვევებში, როდესაც კრედიტის უზრუნველყოფად გვევლინება მიღებული გარანტია, ბანკი ახდენს გარანტორის საქმიანობის ფინანსური შედეგების ანალიზს. ბანკს შემუშავებული აქვს მოთხოვნები საკრედიტო უზრუნველყოფის თითოეული სახეობის მიმართ. უზრუნველყოფაში გადაცემული ქონების ღირებულება განისაზღვრება მისი საბაზრო ღირებულებიდან გამიმდინარე ლიკვიდობის დისკონტის გათვალისწინებით. უზრუნველყოფაში გადაცემული აქტივების გაანგარიშებითი სიდიდე საკმარისი უნდა იყოს ძირითადი ვალის, პროცენტების, საკომისიოს და საგირავნო ვალდებულებების მომსახურების საფასურის ასანაზღაურებლად. უზრუნველყოფის სახეების მიხედვით ლიკვიდობის დისკონტი მერყეობა 10%-დან 70%-მდე.

იმ შემთხვევებში, როდესაც უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენს იპოთეკა, მსესხებელი ვალდებულია დააზღვიოს შესაბამისი აქტივი.

ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, უზრუნველყოფაში მიღებული ქონებაზე მოთხოვნის უფლების რეალიზაციის შემთხვევაში, ქონების რეალიზაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობისა და ბანკის წესების შესაბამისად. ქონების რეალიზაციიდან მიღებული სახსრები გამოიყენება ვალის დასაფარად ან შესამცირებლად.

9.14 საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტები

კაპიტალის შეფასებისა და კაპიტალის ელემენტების გაანგარიშებას ბანკი ახდებს საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტების მონაცემების გამოყენების წესის შესაბამისად.

კაპიტალის შეფასების მიზნებისათვის ბანკი იყენებს შემდეგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების შეფასებებს:

- Standard & Poor's Corporation
- Moody's Investor Services
- Fitch Ratings

საკრედიტო შეფასების გარე ინსტიტუტების (სშვ) შეფასებები გამოიყენება შემდეგი აქტივების კლასების მიმართ:

- ცენტრალური მთავრობები და ცენტრალური ბანკები.
- მრავალმხრივი განვითარების ბანკები.
- საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები.
- კომერციული ბანკები.

საკრედიტო რისკი — სტანდარტული მიდგომის (Credit risk –The Standardised Approach) ფარგლებში ბანკი იყენებს სებ—ის მიერ აღიარებული შემდეგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების საკრედიტო შეფასებების სკალას, რომელიც რანჟირებულია სებ—ის საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით (მეფინგი / mapping), ქვემოთ მოყვანილი ცხრილების შესაბამისად:

ცხრილი 1. აღიარებული გრძელვადიანი რეიტინგები და ექვივალენტური საკრედიტო კატეგორიები / Recognised long-term ratings and equivalent credit rating grades

Credit rating grade	Standard & Poor's Corporation	Moody's Investor Services	Fitch Ratings
1	AAA	Aaa	AAA
	AA+	Aa1	AA+
	AA	Aa2	AA
	AA-	Aa3	AA-
2	A+	A1	A+
	A	A2	A
	A-	A3	A-
3	BBB+	Baa1	BBB+
	BBB	Baa2	BBB
	BBB-	Baa3	BBB-
4	BB+	Ba1	BB+
	BB	Ba2	BB
	BB-	Ba3	BB-
5	B+	B1	B+
	B	B2	B
	B-	B3	B-
6	CCC+	Caa1	CCC+
	CCC	Caa2	CCC
	CCC-	Caa3	CCC-
	CC	Ca	CC
	C	C	C
	D		D

ცხრილი 2. აღიარებული მოკლევადიანი რეიტინგები და ექვივალენტური საკრედიტო კატეგორიები / Recognised short-term ratings and equivalent credit rating grades

Credit rating grade	Standard & Poor's Corporation	Moody's Investor Services	Fitch Ratings
1	A-1	P-1	F-1
2	A-2	P-2	F-2
3	A-3	P-3	F-3
4	Others	Others	Others

მრავალჯერადი შეფასება /Multiple assessments

- თუ არსებობს კონკრეტული მოთხოვნის მიმართ სშგი/ECAI-ს მხოლოდ ერთი შეფასება, მაშინ ეს რეიტინგი გამოიყენება ამ მოთხოვნის რისკის მიხედვით შესანონად.
- თუ არსებობს სშგი/ECAI-ს ორი შეფასება, რომლებიც შეესაბამებიან რისკის მიხედვით სხვადასხვა წონას, მაშინ გამოიყენებული უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე მაღალი რისკის წონა.
- თუ არსებობს სშგი/ECAI-ს სამი შეფასება, რომლებიც შეესაბამებიან რისკის მიხედვით სხვადასხვა წონას, მაშინ შერჩეული უნდა იქნეს ორი ყველაზე დაბალი რისკის წონა და გამოიყენებული იქნეს ყველაზე მაღალი რისკის წონა ამ ორს შორის.

10 ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები

ანაზღაურების პოლიტიკის გამოყენების მოთხოვები

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას მიეკუთვნება გენერალური დირექტორისა და დირექტორატის სხვა წევრების შრომის ანაზღაურების პირობების განსაზღვრა, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების ოდენობა, პერიოდულობა, ანაზღაურების ცვლადი ნაწილი და სხვა.

დირექტორატის კომპეტენციას მიეკუთვნება ბანკის თანამშრომლების (დირექტორატის წევრების გარდა) შრომის ანაზღაურების პოლიტიკის, სისტემების, ნახალისების მოდელების განსაზღვრა. კერძოდ ის ამტკიცებს შრომის ანაზღაურების ფონდის ოდენობას; განიხილავს და ამტკიცებს წინადადებებს ანაზღაურების სისტემისა და მოტივაციის სხვა მოდელების სრულყოფის შესახებ; განიხილავს შრომის ანაზღაურების სისტემის მონიტორინგის განმახორციელებელი სტრუქტურების (როგორც შიდა, ისე გარე) შეფასებას და ანგარიშებს და სხვა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის ხელმძღვანელობის ანაზღაურების საკითხებზე გარე კონსულტანტი ბანკს არ მოუწვევია. ბანკის სისტემაში ანაზღაურების პოლიტიკა თანხვედრია ყველა ბიზნეს-მიმართულებისათვის, როგორც სათაო ოფისში, ისე გაყიდვის წერტილებში.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ უმაღლეს მენეჯმენტის პოზიციები შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან, ბანკის გენერალური დირექტორისა და დირექტორატის წევრებისაგან; ბანკის სისტემაში ანაზღაურების პოლიტიკა განსაზღვრავს შრომითი ანაზღაურების საკვანძო პრინციპებსა და ძირითად ელემენტებს.

მოტივაციისა და შრომის ანაზღაურების სისტემა მიმართულია:

- ბანკის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევისკენ, რომელიც განვითარების მიმდინარე ეტაპს შეესაბამება და ეფექტურობის საკვანძო მაჩვენებლების შესრულებისკენ, რომლითაც განისაზღვრება ეს მიღწევები;
- ბანკის თანამშრომელთა შრომის ეფექტურობის, დაინტერესებისა და შრომის შედეგებზე პასუხისმგებლობის ზრდისკენ.

მოტივაციისა და შრომის ანაზღაურების სისტემა ხელს უწყობს რეგიონში მომზიბელები და ამსაქმებლის იმიჯის შექმნას, ქმნის ბაზარზე ანაზღაურებისა და საკომპენსაციო პაკეტების კონკურენტულ დონეს; ხელს უწყობს კვალიფიციური და შედეგიანი თანამშრომლების დამაგრებას/შენარჩუნებას და მოზიდვას, პერსონალის პოტენციალისა და კომპეტენციების განვითარებას ბიზნესისთვის საჭირო მიმართულებით.

ანაზღაურების სისტემა ბანკის სისტემაში შეესაბამება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- გამჭვირვალობა: ანაზღაურების სისტემაში გამოყენებული მიღვომებისა და პრინციპების სრული და ნათელი წარმოდგენა ბანკის თითოეული თანამშრომლისათვის
- მოქნილობა: ბიზნესის განვითარებისა და გარე ბაზრის ცვლილების კვალობაზე, ანაზღაურების სისტემის ცვლილების შესაძლებლობა
- დინამიურობა: სისტემის მუდმივი სრულყოფა-განვითარება
- ერთიანობა: ანაზღაურების სისტემის მოქმედება, როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობა
- კომპლექსური მიღვომა: თანამშრომლების მუშაობის შედეგების შეფასება
- კონკურენტუნარიანობა: ანაზღაურების კონკურენტუნარიანი დონის შენარჩუნება და კვალიფიციური კადრების შემდგომი მოტივირება მათი მოზიდვა/შენარჩუნების მიზნით

ანაზღაურების სისტემის სრულყოფა ხორციელდება „ვითიბის“ სისტემაში შემუშავებული პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად, დამტკიცებული საბიუჯეტო საშუალებების ფარგლებში.

ბანკში მიღებული სისტემის თანახმად, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება იყოფა ფიქსირებულ და ცვლად ნაწილებად.

ბანკში არ მოქმედებს ანაზღაურების კომიტეტი აქედან გამომდინარე კომიტეტის შესაბამისი გადაწყვეტილებაც არ არსებობს.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სისტემაში შიდა კონტროლის ფუნქციებს ახორციელებს შიდა აუდიტის სამმართველო, რომელიც სტრუქტურულად აუდიტის კომიტეტს დაქვემდებარებულია და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. სამმართველოს ფუნქციები დამოუკიდებელია, მათ აქვს საკმარისი რესურსი, დაკომპლექტებულია მცოდნე და შესაბამისი გამოცდილების მქონე პერსონალით, რაც ხელს უწყობს მათი ამოცანების სრულფასოვან, ობიექტურ შესრულებას. შიდა აუდიტის სამმართველოს მიერ ანაზღაურების სისტემების შეფასება ხორციელდება პერიოდული შემოწმების დროს. ასევე, წინასწარი კონტროლის ფუნქციის განხორციელების ფარგლებში, სამმართველო მუდმივად იღებს მონაწილეობას შრომის ანაზღაურების სისტემასთან დაკავშირებული შიდა ნორმატიული დოკუმენტების პროექტების განხილვაში.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სისტემაში ანაზღაურების სისტემის რისკების შეფასება მიმართულია საკრედიტო ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფისაკენ; საბანკო ოპერაციების მასშტაბისა და ხასიათის, საქმიანობის შედეგის, აღებული რისკების დონის შესაბამისი შრომის ანაზღაურების სისტემის უზრუნველყოფისაკენ.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ სისტემაში ხელმძღვანელების დამატებითი ანაზღაურება გაანგარიშება წლიური შედეგებიდან გამომდინარე, შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

- ფინანსური შედეგი - ბანკის ხელმძღვანელობის ცვლადი ანაზღაურება მიბმულია ფინანსურ შედეგზე (წმინდა მოგება/ზარალი). მიზნობრივ მაჩვენებლის მინიმუმ 80%-ით შესრულება იძლევა მათვის პრემიის გაცემის საშუალებას. ზარალის შემთხვევაში ტოპ მენეჯერებმა შეიძლება დაკარგონ დამატებითი ანაზღაურების მიღების უფლება:

• საერთო საბანკო მაჩვენებლების შესრულება - დირექტორატის წევრისთვის აუცილებელი საერთო KPI არის ბანკის წმინდა მოგების / სეგმენტური მაჩვენებლის შესრულება, რომელიც IFRS-ით გაანგარიშდება:

- პასუხისმგებლობის ზონებში დაწესებული KPI-ის შესრულება - თითოეულ ხელმძღვანელს ფუნქციონალური კურატორის მიერ უწესდებათ ინდივიდუალური KPI-ი იმ ბიზნეს მიმართულებების შესაბამისად, რაზეც პასუხისმგებელი არიან. ინდივიდუალური მაჩვენებლები მოიცავენ როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს/საპროექტო მიზნებს. მაჩვენებლების შესრულების დიაპაზონი მერყეობს 80%-დან 150 %-მდე
- მაკორექტირებელი მაჩვენებლის არსებობა: ფუნქციონალური კურატორის და გენერალური დირექტორის შეფასება.

პრემიის გაანგარიშების ბაზას წარმოადგენს ხელმძღვანელების ფიქსირებული ანაზღაურების ჯერადი ოდენობა (მაქსიმალური - 12 ოდენობით).

ხელმძღვანელებისათვის დაწესებული KPI-ები შეესაბამება შემდეგ კრიტერიუმებს: სტრატეგიულ მიზნებთან და ბიზნეს-გეგმასთან კავშირი, კრიტერიუმების გაზომვადობა და თითოეულის მინიმუმ 10% იანი წონა. KPI-ს შეფასების დროს საჭიროა განისაზღვროს: საერთო საბანკო და ინდივიდუალური (პასუხისმგებლობის სფეროს მიხედვით) KPI შესრულებები.

დირექტორატის წევრების რაოდენობრივი KPI-ს წონები მოცემულია ცხრილში

	საერთოსაბანებ რაოდენობრივი KPI მაჩვენებლები	CIB	პასუხისმგებლობის ზონებში KPI Retail
გენერალური დირექტორი	30%	35%	35%
დირექტორატის წევრები	0-30%	10-100%	10-100%

ხარისხობრივი / საპროექტო მაჩვენებლები ფასდება ვტბ-ბანკის ფუნქციონალური კოორდინატორის მიერ ექსპერტული შეფასების საფუძველზე.

ტოპ მენეჯერების წლიური პრემიის გაანგარიშების ფორმულა ყალიბდება შემდეგნაირად:

$$\text{წლიური} \quad = \quad \begin{matrix} \text{პრემიის} \\ \text{გაანგარიშების} \\ \text{ბაზა (ფონდი)} \end{matrix} \times \begin{matrix} \text{ზღვრული} \\ \text{კოეფიციენტი} \end{matrix} \times \begin{matrix} \text{KPI} \\ \text{შესრულება} \end{matrix} \times \begin{matrix} \text{შეფასება} \\ \text{კურატორის/} \\ \text{CEO} \end{matrix}$$

ბანკის ხელმძღვანელების დამატებითი ანაზღაურების საკითხს განიხილავს სამეთვალყურეო საბჭო წლიური შედეგების შეფასების შემდეგ. სამეთვალყურეო საბჭოს დადგენილებით დგინდება დამატებითი ანაზღაურების ოდენობა და გაცემის ვადები. 2018 წლის განმავლობაში KPI-ები, ან KPI-ების ზღვრები არ შეცვლილა.

აქციონერების მიერ (მშობელი კომპანია) ბანკისგან მიღებული შემოსავალ-ხარჯები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	2018	2017
ფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი	5	13
საპროცენტო ხარჯი	(14,346)	(13,127)
საკომისიო ხარჯი	(190)	(186)
წმინდა შემოსულობა უცხოურ ვალუტაში შესრულებული გარიგებებიდან	1,230	7,220
სხვა საოპერაციო ხარჯები	(41)	(11)

11 პილარ 3-ის ანგარიშგების დანართები

პანკის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მაჩვენებლები მოცემულია ცალკე დანართებაზე

